ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali-Taoba

gfhfcrtdb7 * bdybcb7 @)!@ 1135 (5825) afcb5 #) stshb

6 ივნისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ნტნხტჰბ
* კფჰბ

ქუთაისში პარლამენტის შენობის ჩამოგბრევას მსხვერპლი მოჰყვა

გვ.2

ბიძინა ივანიშვილი სამართალდამრღვევად სცნეს

გვ. 4

კუბლაშვილი და თორდია ბეჟუაშვილს თავდებში უდგებიან

ქართული ოცნება“: – ხელისუფლება არჩევნებიდან ჩვენს განდევნას ცდილობს

გვ.2

გვ.3

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს დემოკრატიას პუტინის დემოკრატიას აღარებს

კახა კუკავა: ამერიკა საკაშვილს ვერ შეელევა“

გვ. 7

რუსუდან კერვალიშვილი: ნაციონალების დამსახურებაა, პარლამენტში ჯონდის ხმა რომ ისმის“

გვ.2

ირაკლი ალასანია სენატორ ჯონ მაკკეინს შეხვდა

გვ.2

გვ.2

ჯონდი ბაღათურიამ პენსიონერებს საპენსიო რეფორმის შესახებ კანონპროექტი გააცნო

რა ბედი ეწევა მე-9 არხს“

გვ.3

გვ.6

ევროპა აფხაზეთთან დაახლოებას გვთხოვს

გვ.7

სოსო ცისკარიშვილი: ხელისუფლება ბევრ უკადრებელს იკადრებს“

ISSN 1987-9385

4 მიიღებენ თუ არა კანონს სექსუალური უმცირესობების შესახებ

6 კაკაბაძე ფართომასშტაბიან ამნისტიას ითხოვს

4 კოალიცია ქართული ოცნების“ ლიდერს ხმის მიცემის უფლება მთანმინდის ოლქში ექნება

6 ქდმ სასჯელაღსრულების სამინისტროს გულგრილობაში ადანაშაულებს

რუსუდან კერვალიშვილი: ნაციონალების დამსახურებაა, პარლამენტში ჯონდის ხმა რომ ისმის“

ყველელ „მარშრუტკებში“ რადიოს მოსმენა მალე სანატრელი გახდება. მგზავრებს დარდიმანდული სიმღერების ნაცვლად რეკლამის მოსმენა მოუწევთ. მათ შორის პოლიტიკური რეკლამისაც. აქამდე ხომ საშინელება იყო სამარშრუტთი მგზავრობა და ახლა მოლად კატასტროფა იქნება. წარმოიდგინეთ პიკის საათებში ცალ ფეხზე მდგარი მგზავრი რა ხასიათზე დადგება, როცა პოლიტიკური რეკლამის მოსმენა მოუწევს.

თეა მარხვაიძე

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ სამარშრუტო ტაქსებში ოპოზიციური სულია გამეფებული. ალბათ ბევრ თქვენგანს მოუსმენია მგზავრობისას ოპოზიციურად შერაცხული არხებისთვის. დაირღვა თუ არა ამით ხელისუფლების მომხრეების უფლებები ვერ გეტყვით. ფაქტი ისაა, რომ მავანმა „მარშრუტკებში“ რადიო-სიგნალის გათიშვა მოისურვა.

ოპოზიციონერების განმარტებით, ეს ყველაფერი ხელისუფლების ხრიკებია. ამ თემაზე გუშინ პარლამენტის ბიუროს რიგგარეშე სხდომაზეც იდავეს. პროტესტი ქართული დასის ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ მგზავრობა.

მან შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ხელისუფლება მეცხრე არხის გათიშვას აპირებს. დეპუტატი გაოგნებულია იმის გამო, რომ სამარშრუტო ტაქსებში რადიოს მოსმენა შეუძლებელი გახდება.

– ეს სრულიად სამარცხვინო გადაწყვეტილებაა. ესაა პირდაპირი მუქარა თავისუფალი მედიის წინააღმდეგ, შტურმი დემოკრატიაზე და შანტაჟი მედიაზე არჩევნების წინ. სამარშრუტო ტაქსების მგზავრები რადიო „მაესტროსა“ და რადიო „ობიექტივს“ უსმენდნენ, სადაც ოპოზიციური აზრი ისმის. ტელეკომპანიების: „მე-9 არხისა“ და „მაესტროს“ ეთერში ორივე მხარის: ხელისუფლებისა და ოპოზიციის ხმა ისმის, – განაცხადა ბაღათურიამ.

კოლეგის განცხადების კომენტარების სურვილი გაუჩნდა რუსუდან კერვალიშვილს. ვიცე-სპიკერი ადრე პოლიტიკური განცხადებებით არ გამოირჩეოდა.

– ბატონო ჯონდი, თქვენი ხმა ისმის ბიუროს სხდომაზე და ეს ჩვენი დამსახურებაა, – მიაძახა ბაღათურიას კერვალიშვილმა.

რადიო სიხშირეების გათიშვას ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიაც გამოეხმაურა. თორდია მიკროავტობუსებში რადიოსიგნალების გამორთვის საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანას მიუღებლად მიიჩნევს.

– ყველა ევროპულ ქვეყანაში საზოგადოებრივ ტრანსპორტში რადიოს ფუნქციონირება აკრძალულია. მერიამ უკვე გააკეთა განმარტება, რომ კომპანიას, რომელიც სამარშუტო ტაქსებით საზოგადოებას ემსახურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქვს სარეკლამო მომსახურება კომპანიებისთვის. სწორედ ამის საფუძველზე შეიზღუდა რადიომაუწყებლობა. საკითხი ეხება ადამიანებს, რომელთაგან ზოგს აინტერესებს ესა თუ ის რადიოგადაცემა, ზოგს — არა. ამ საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა, არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ლაშა თორდიამ.

მისივე ტმკიცებით, აღნიშნული პროცედურა, ტექნიკურად ხელს არ შეუშლის მგზავრებს, საკუთარი ტელეფონების ან რადიომიმღებების საშუალებით სასურველ რადიოს მოუსმინონ.

– რაც შეეხება მიკროავტობუსებში პოლიტიკური რეკლამების განთავსებას, ამ საკითხით არ დავინტერესებულვარ. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებმა ხელშეკრულების მხარეებთან უნდა გაარკვიონ, – ამბობს თორდია.

რიგგარეშე ბიუროს მთავარი სალაპარაკო კი ბიძინა ივანიშვილი იყო. ბიუროზე გაირკვა, რომ საქართველოში დაბადებული ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობას, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პასპორტებით მიიღებენ. აღნიშნული ცვლილებები „საარჩევნო კოდექსში“ შედის, რომლის ინიცირებაც პარლამენტში, ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე განხორციელდა.

კანონპროექტით, „საარჩევნო კოდექსი“ გასულ კვირას ძალაში შესულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან მოდის შესაბამისობაში, რომლითაც „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევა. „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების პროექტით დგინდება, რომ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქის პასპორტი და პირადობის მოწმობის ნაცვლად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები არჩევნებში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პასპორტებს გამოიყენებენ. აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობა საფრანგეთის პასპორტით შეეძლება.

ივანიშვილი კი მხოლოდ საქართველოს მოქალაქით აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. საქართველოს მოქალაქეობა მას პრეზიდენტმა გასული წლის ოქტომბერში ჩამოართვა.

ჯონდი ბაღათურიამ პენსიონერებს საპენსიო რეფორმის შესახებ კანონპროექტი გააცნო

„ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ გუშინ პენსიონერებს საპენსიო რეფორმის შესახებ კანონპროექტი გააცნო.

როგორც შეხვედრაზე ბაღათურიამ განაცხადა, მისი ინიციატივის თანახმად, ყველა კატეგორიის პენსიონერის პენსია საარსებო მინიმუმს უნდა გაუთანაბრდეს და მას სტაჟის მიხედვით, ყოველ ნამუშევარ წელიწადზე – 2 ლარი დაემატოს.

მისი თქმით, კანონპროექტის მიღების შემდეგ, ასაკით პენსიონერების საშუალო პენსია 200-250 ლარამდე გახდება. ბაღათურიას საკანონმდებლო ინიციატივა ჯერ კიდევ 2009 წელს იყო ინიცირებული, თუმცა პარლამენტს მისი განხილვის პროცედურა არ დაუწყია. პარლამენტში შეხვედრაზე მისულმა პენსიონერებმა განაცხადეს, რომ ისინი „ ქართული დასის“ მიერ მომზადებულ კანონპროექტს მხარს უჭერენ და იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება მათი პოზიციიის იგნორირებას არ მოახდენს.

ინტერპრესნიუსი

ქუთაისში პარლამენტის შენობის ჩამონგრევას მსხვერპლი მოჰყვა

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე ქუთაისის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ტრაგედიაზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

როგორც გიორგი თარგამაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, დღევანდელი სამწუხარო შემთხვევის შემდეგ, რაც მოსახლეობას გაახსენდებოდა, ეს არის ის ჩაფხუტი, რომელიც პრეზიდენტმა ქუთაისში პარლამენტის შენობის გახსნის დღეს მას გადასცა.

„მაშინ ეს სახუმარო თემა იყო, მაგრამ მიზეზი, რის გამოც სააკაშვილს ეს იდეა გაუჩნდა, გახდა ჩემი განცხადება, რომელიც ჩემი აზრით ნამდვილად არ იყო სახუმარო და მიუთითებდა სწორედ

დაჩქარებული ტემპით მშენებლობასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე. მე ამ თემაზე საუბარი იმ ადამიანების უსაფრთხოებიდან გამომდინარე კი არ დავიწყე, ვინც იქ პარლამენტის წევრებად ვაპირებთ საქმიანობას, არამედ იმ ადამიანების უსაფრთხოების აუცილებლობის ხაზგასასმელად, რომლებიც მუშაობენ პარლამენტის კომპლექსის მშენებლობაზე“, -განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

მისი თქმით, ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ მშენებლობისას მუშა გარდაიცვალა. „მე არ მინდა ვისაუბლეარო გარდაცვლილი ადამიანის ბედით და პირველ რიგში მის ოჯახს მინდა მივუსამძიმრო“, – განმარტა თარგამაძემ. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ზოგადად საქართველოში მშენებლობის უსაფრთხოების კუთხით ძალიან დიდი პრობლემაა და ქუთაისში მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ ეს პრობლემა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. თარგამაძის ინფორმაციით, ეს არ არის ერთეული შემთხვევა და ასეთ ინფორმაციებს ფაქტობრივად ყოველ კვირას იღებენ სხვადასხვა მშენებლობიდან.

„პარლამენტის შენობის ასეთი სისწრაფით მშენებლობა გაზრდიდა იმ რისკებს, რომელიც ბუნებრივად ახასიათებს ჩვენს ქვეყანაში მშენებლობების უსაფრთხოების ნორმების აბსოლუტურად დაუცველობას. ეს სამწუხარო მაგალითია, რომ გაკვეთილი გამოვიტანოთ, რა ხდება ზოგადად ჩვენს მშენებლობებზე და რა მოჰყვება დაჩქარებული ტემპებით, ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ განხორციელებულ მშენებლობებს. როდესაც ხელისუფლება ყურს არ უგდებს ჩვენს მოთხოვნებს, ქვეყნაში მშენებლობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, როდესაც ხელისუფლება გარკვეულ თარიღებთან მიმართებაში იღებს გადაწყვეტილებებს, რასაც შემდეგ ფართხა-ფურთხით საქმის კეთება მოჰყვება, ეს ზრდის რისკებს კონკრეტული ადამიანებისთვის, ვინც დავალების შესრულებაზე მუშაობენ. აქედან გამომდინარე, ჩემთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი სრულიად გარკვეულია და პირდაპირ უკავშირდება ხელისუფლებას“, – დასძინა თარგამაძემ.

კომპანია „კავკასიუს რიუდ პროჯექტის“ წარმომადგენლის, მშენებლობის პროექტის მენეჯერ კობა გელაძის ინფორმაციით, ქუთაისის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთი დამხმარე ნაგებობის ხარაჩოს ჩამონგრევისას გუშინ ერთი ადამიანი დაიღუპა.

ინტერპრესნიუსი

ირაკლი ალასანია სენატორ ჯონ მაკკეინს შეხვდა

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ვაშინგტონში სენატორ ჯონ მაკკეინს, კონგრესმენ დევიდ დრეიერს და კონგრესმენ ბილ შუსტეს შეხვდა.

„თავისუფალი დემოკრატების“ ინფორმაციით, ირაკლი ალასანიამ მათ საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო ვითარებაზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

„მთელი ეს შეხვედრა დაეთმო იმას, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სამართლიანი, თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები ჩვენს ქვეყანაში და როგორ უნდა განხორციელდეს პირველად, 20 წლის განმავლობაში მშვიდობიანი არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილება“– განაცხადა ალასანიამ.

მისი თქმით, ის იმედოვნებს, რომ სენატორი საქართველოში არჩევნებამდე ჩამოვა. როგორც ალასანიამ აღნიშნა, სენატორის მთავარი ამოცანაა, რომ ქვეყანაში ის ინსტიტუტები შედგეს, რომლის შექმნაშიც ის 20 წლის განმავლობაში საქართველოს ეხმარებოდა.

ნიუსპრესი

ქართული ოცნება“: — ხელისუფლება არჩევნებიდან ჩვენს განდევნას ცდილობს

პოლიტიკურმა კოალიციამ „ქართული ოცნება“ საგანგებო განცხადება გააკრცელა.

– კლინტონის ვიზიტის დასრულებისთანავე, საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა მთელი რიგი უკანონო მოქმედებებისა, რის შედეგადაც,ქვეყანაში შექმნილი ისედაც მძიმე პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ქართული ოცნების წარმომადგენლების თქმით, რაც მოხდა წინასწარ დაგეგმილი ბინძური კამპანია, რომლის საბოლო მიზანიც 7 ივნისს, ხელისუფლებასთან დაახლოებული არასამთავრობო ორგანიზაცია „სუფთა პოლიტიკის“ წარმომადგენელმა საჯაროდ განაცხადა-შეეთითხნოს საქმე და შეიქმნას საკმარისი „ მტკიცებულება“ ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროცესისაგან ჩამოსაშორებლად.

– დარწმუნებული ვართ, საქართველოში მოქმედი ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის ვალია, დღესვე შეისწავლონ აღნიშნული ფაქტები და მყისიერი რეაგირება მოახდინონ ხელისუფლების მიერ კოალიცია ქართული ოცნების წინააღმდეგ დაგეგმილ კამპანიაზე, რათა ყველამ ერთად ვუზრუნველყოთ კონკურენტუნარიანი არჩევნების ჩატარება, სადაც საქართველოს მოქალაქეები თავისუფალი ნების გამოვლენის პირობებში გააკეთებენ პოლიტიკურ არჩევანს, – ნათქვამია „ქართული ოცნების“ განცხადებაში.

ახალი თაობა

უფასო
უფასოდ
!(№ ოკბე
№ ბდკბეცმლფყ

ლფვაეყტ.კტ.ბ5 ყბ<ყჯ .ფრეეჰფეტ7 ჰეეჰფ. .ტ‹ბტ7 ცჯ<ცჯ უჯ<უბ<ყეიდბკბ
ვსდფდკბ ჰტლფმნჯბ 2 ცჯ<ცჯ უჯ<უბ<ყეიდბკბ
ჰტლფმნჯბ 2 კეკბ ფცკეყბიდბკბ
ჰტლფმნჯბც ვჯფლფუბკტ 2 ოჯ‹ტყფ ვფ‹ცფუბიდბკბ

რჯ<ეეგნფტ.ბ
ჯ<სფ‹ ყბ<ფეიდბკბ7 ლფდს .ბბ<ეყბ
ცფა<ყეყეჯ ცფვეფებ 2 რკფ‹ფ .ფკედფტ

ცფ‹ტრ<ფფეჯ ცფვეფეებ 2 -(-)-
ეეფდ‹ეტ.ტ.ბ ცფვეფებ 2 ეკ‹ბ. კ.ტდ‹ეიდბკბ
ლ‹ბ‹ტ‹ეჯბ 2 ‹ეეჰ‹ბ. .‹ბ‹ტ

ლფრ‹ფალ‹ეყტ.ფ 2 ‹ყ‹ეეფ ლ‹ფეკ‹ეიდბკბ7 ‹ეყ‹ეეფ რ‹ეეყ‹ტ.ეერ7 ‹ებ‹ბ ‹ეჯ‹ბ‹ეიდბკბ

ვბ‹ფფეეებ‹ბ 8ბ ‹ბ.ბ‹ბ7 X□,□□□I□□□ᒣ □8 1)7 ვტ-№ ცფ‹ბ‹ეკ‹ბ8
ნ‹ტ‹ტ.ა‹ეყ‹ბ□ა‹ფმ‹ბ 2(-)-(!
დტ.-ეეტ‹ბლ‹ბ www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
ჰ‹ტ‹ლ‹ფ‹ბ‹ბ‹ფ ‹ი‹ეეეკ‹ბ‹ბ ‹ფ‹ფ‹ფ‹ტ.ბ ‹ფ‹ ‹ბ‹ტ‹ტ‹ყ‹ბ‹ბ‹ბ‹ტ.ფ ‹ლ‹ფ
ფ‹ლ‹ეჯ‹ტ.ბ ‹ფ‹ ‹ე.‹ბ‹ყ‹ტ.ბ‹ფ‹ ‹ბ‹ტ‹ტ‹ყ‹ბ‹ბ‹ბ‹ტ.ბ ‹ფ‹ ‹ბ‹ტ‹ტ‹ბ
‹ეეტ‹ბ‹ბ ‹ლ‹ტ‹ბ‹ლ‹ბ ‹ფ‹ ‹ბ‹ტ‹ბ‹ბ‹ბ

„რა ბედი ეწევა მე-9 არხს“

ნათია ხურცილავა

„სტერეო+“-ის დამფუძნებელი დავით ზილფიმიანი არ აპირებს შეასრულოს საქართველოს კომუნიკაციების კომისიის მითითება, რომლის მიხედვით „მე-9 არხისთვის“ საეთერო მაუწყებლობა უნდა გაითიშოს. ამის შესახებ ზილფიმიანმა „ინტერპრესნიუსის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– არ ვაპირებ ჩემი კომპანიის სიგნალის გათიშვას, იქიდან გამომდინარე, რომ ამ სიგნალის ლიცენზია მაქვს. კანონმდებლობით მაქვს უფლება, საქართველოში ლიცენზირებულ ყველა მაუწყებელს მოვემსახურო ერთი და იმავე პირობებით. მე არ შემიძლია მოვემსახურო არალიცენზიანტს. „მე-9 არხი“ ისევეა ლიცენზირებული, როგორც ყველა დანარჩენი. ამიტომ მე, როგორც მომსახურე კომპანიას, უფლებაც კი არ მაქვს, ერთს უარი ვუთხრა და მეორის მოთხოვნა დავაკმაყოფილო. თუ რესურსი მაქვს, მოთხოვნა უნდა დავაკმაყოფილო, – განაცხადა ზილფიმიანმა. ზილფიმიანის თქმით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოს ყველა ინსტანციაში გასაჩივრდება და საქმე ევროსასამართლოშიც გაიგზავნება.

„მე-9 არხთან“ კონტრაქტის გაფორმებით კომპანია „სტერეო+“-ს უბედურებების მთელი კასკადი დაატყდა თავს“, – აღნიშნა ზილფიმიანმა.

მისი თქმით, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ აბსოლუტურად არაკომპეტენტური და აბსურდული გადაწყვეტილება მიიღო.

– კომისიის არც ერთი წევრი კომუნიკაციების სპეციალისტი არ არის. ეს თვითონ ნონსენსია. მოვითხოვ, რომ სასწრაფოდ მოხდეს მათი ატესტაცია. 2006 წლიდან მე ვფლობ 71 მეგაჰერც სიხშირეს სატელევიზიო ბანკისთვის, ანუ ტელევიზორებისთვის. ეს ასეც ხდებოდა 6 წლის განმავლობაში. აბსოლუტურად სხვადასხვა მომსახურებაზეს ჩემს არხს არაერთხელ გაუფორმებია სხვადასხვა კომპანიასთან ხელშეკრულებები. კომისიის წევრები თურმე ახლა მიხვდნენ, რომ 71 მეგაჰერც სიხშირე მიღებადია ტელევიზორებისთვის, – განაცხადა დავით ზილფიმიანმა. მისი თქმით, უკანონოა ის ჯარიმაც, რომელიც მას დააკისრეს.

– ითხოვენ, რომ მსოფლიოში უნდა შეიცვალოს ყველა სატელევიზიო პარკი ან ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო კანონები, რაც შეუძლებელია, – აცხადებს ზილფიმიანი.

კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ კომპანია „სტერეო +“ „მე-9 არხისთვის“ საეთერო სიხშირის გავრცელების გამო 5 ათასი ლარით დააჯარიმა.

ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებით, „მე-9 არხისთვის“ საეთერო სიხშირის გათიშვა უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, „სტერეო +“-ის სიგნალი „ალფა კომის“ მიერ მთლიანად გაითიშება.

ეს გადაწყვეტილება კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ 5-საათიანი მსჯელობის შემდეგ მიიღო. კომისიის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელ კახი ყურაშვილის განცხადებით, „სტერეო +“-ს რადიოსიგნალის მაუწყებლობის ლიცენზია აქვს და „მე-9 არხს“ საეთერო მაუწყებლობით ემსახურებოდა, რაც კანონდარღვევაა, იქიდან გამომდინარე, რომ ლიცენზია, რომელსაც „სტერეო +“ ფლობდა, ითვალისწინებს მხოლოდ რადიოხაზით მომსახურებას.

რაც შეეხება ჯარიმას, ყურაშვილის განმარტებით, ეს ჯარიმა ზილფიმიანს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმით დაეკისრა იმ მოტივით, რომ „სტერეო +“-მა „მე-9 არხისთვის“ საეთერო მაუწყებლობა მინიჭებული სიხშირული ზონის გადაჭარბებით განახორციელა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისია „სტერეო +“-ის დაჯარიმებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

– საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამართულ სხდომაზე შპს „სტერეო +“-ს გაფრთხილება მიეცა და ასევე 5 ათასი ლარით დაჯარიმდა.

2012 წლის 4 ივნისს მასობრივი ინფორმაციების საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეიტყო, რომ შპს „მეცხრე არხმა“ მაუწყებლობა თბილისში მეტრულ სიხშირეზე დაიწყო და დედაქალაქის მოსახლეობამ სატელევიზიო ანტენის საშუალებით არხის მიღება შეძლო. კომისიამ საკითხის შესასწავლად მონიტორინგი ჩაატარა.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შპს „სტერეო +“ თანამგზავრული მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი კომპანიის, „მეცხრე არხის“ სიგნალის გავრცელებას უზრუნველყოფდა ე.წ ღია ლინკის საშუალებით ღია ეთერში. „სტერეო +“ ამ მომსახურებას რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის ფარგლებში ახორციელებდა. საგულისხმოა, რომ ლიცენზიით გაცემული სიხშირული ზოლი „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით“ გათვალისწინებულია მოძრავი ან ფიქსირებული რადიოხაზებით მომსახურებისთვის. ამ რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით მოსახლეობამდე სამაუწყებლო სიგნალის ე.წ. ღია ლინკით საჯარო გავრცელება წინაალმდეგობაში მოდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის სალიცენზიო პირობებთან, რასაც „სტერეო +“ ახორციელებდა. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული დარღვევისთვის პირველადი სანქცია წერილობითი გაფრთხილებაა.

მონიტორინგის შედეგად ასევე დადგინდა, რომ შპს „სტერეო +“ შესაბამისი სავალდებულო ავტორიზაციის გარეშე ახორციელებდა საქმიანობას და გარკვეულ რადიოსიხშირულ სპექტრს კომისიის მიერ შესაბამისი მინიჭების ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე იყენებდა, რაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1441-რ მუხლის დარღვევაა და 5 ათას ლარად ჯარიმას ითვალისწინებს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შპს „სტერეო +“-ის კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გათვალისწინებულია მოძრავი ან ფიქსირებული რადიოხაზებით მომსახურებისთვის და არა სიხშირული სპექტრის გამოყენებით საეთერო მაუწყებლობის უზრუნველყოფისთვის. ამ შემთხვევაში საერთოდ აზრს კარგავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურა სიხშირული სპექტრის გამოყენებით სამაუწყებლო ლიცენზიის მოპოვებისთვის საჭირო საკონკურსო წესი. ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შპს „სტერეო+“-სთვის არ აუკრძალავს ლიცენზიის გამოყენება. კომპანიას დაევალა საქმიანობის სალიცენზიო პირობების ფარგლებში მოქცევა, – ნათქვამია განცხადებაში.

ტელეკომპანია „მე-9 არხის“ გენერალური დირექტორი კახა ბექაური კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებას სიტყვის თავისუფლების კიდევ ერთ უხეშ შეზღუდვას უწოდებს.

როგორც ბექაურმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, სრულიად კანონიერია ხელშეკრულება, რომელიც „მე-9 არხს“ „სტერეო +“-თან აქვს გაფორმებული.

– აბსოლუტურად კანონის ფარგლებშია ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული აქვს „მე-9 არხს“ „სტერეო +“-თან, რაც გულისხმობს, რომ „სტერეო +“-ის მფლობელობაში არსებული ლიცენზიის თანახმად, სიხშირული სპექტრის გამოყენება „მე-9 არხის“ მიერ აბსოლუტურად კანონის ჩარჩოში იყო. ეს სხდომაზეც არ იქნა დამალული. მათმა ტექნიკურმა ექსპერტებმა დაადასტურეს, ასევე იურისტებმაც, რომ ხელშეკრულება აბსოლუტურად კანონიერად არის გაფორმებული. „სტერეო +“-ს შეეძლო „მე-9 არხთან“ ასეთი ტიპის ხელშეკრულების გაფორმება, ეს მათ ნათქვამებშიც ჩანს. რადგან „მე-9 არხი“ მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ტელეკომპანიაა, „სტერეო +ს“-ს „მე-9 არხთან“ ასეთი კონტრაქტის დადება შეეძლო. ეს არის სიტყვის თავისუფლების კიდევ ერთი უხეში შეზღუდვა, – აცხადებს კახა ბექაური. ბექაურის თქმით, ეს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის სხდომაზეც არ იქნა დაფარული და მარეგულირებელი კომისიის ტექნიკურმა ექსპერტებმა და იურისტებმა დაადასტურეს, რომ ხელშეკრულება სრულიად კანონიერად არის გაფორმებული და „სტერეო +“-ს შეეძლო „მე-9 არხთან“ ასეთი ტიპის ხელშეკრულების გაფორმება, რადგან „მე-9 არხი“ მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ტელეკომპანიაა. ბექაურის განცხადებით, არხზე მიმდინარეობს მიზანმიმართული ზეწოლა, ტელეკომპანიას შვიდჯერ დაუწვეს ტექნიკა, რომლის იმპორტსაც ახორციელებდა.

– მიუხედავად იმისა, რომ გაგვაჩნია საკაბელო მაუწყებლობის უფლება, არც ერომა საკაბელომ – არც დედაქალაქის, არც რეგიონულმა, თავის პაკეტში არ ჩართო „მე-9 არხი“, გარდა „გლობალ ტვ“-სა, – განაცხადა ბექაურმა.

რაც შეეხება ჯარიმას, ყურაშვილის განმარტებით, ეს ჯარიმა ზილფიმიანს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმით დაეკისრა იმ მოტივით, რომ „სტერეო +“-მა „მე-9 არხისთვის“ საეთერო მაუწყებლობა მინიჭებული სიხშირული ზონის გადაჭარბებით განახორციელა.

„ალფა კომი“ „სტერეო +“-ს სიგნალს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის შესაბამისი წერილობითი მიმართვის შემდეგ გაუთიშავს. „სტერეო +“-ის დირექტორი დავით ზილფიმიანი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ბრალდებებს უარყოფს. მისი თქმით, შეუძლებელია ასევე კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის მიხედვითაც საეთერო სიხშირე უნდა გაითიშოს სიხშირული ზონის დაწვის ხარჯზე. ზილფიმიანის თქმით, საეთერო მაუწყებლობა „მე-9 არხს“ უნებლიეთ მიეწოდება, ისევე, როგორც ეს სხვა ტელევიზიების შემთხვევაში მოხდებოდა.

– არნახული გადაწყვეტილებაა. თუ ფიზიკის კანონის შეცვლას მთხოვენ, ეს მე არ შემიძლია. სიგნალის გავრცელება ხდება უნებლიეთ და არა შეგნებულად და, რაც არ უნდა დამავალონ, მე ამის უზრუნველყოფა არ შემიძლია, – აცხადებს ზილფიმიანი. მისი თქმით, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოში გაასაჩივრებს და არა მხოლოდ ქართულ სასამართლოში, არამედ ჩივილს სტრასბურგში აპირებს.

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს დემოკრატიას პუტინის დემოკრატიას აჯარებს

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, პარტია „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე სალომე ზურაბიშვილი საქართველოში არსებულ დემოკრატიას ვლადიმერ პუტინისეულ რუსულ დემოკრატიას ადარებს.

ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილი სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში საუბრობს.

დიპლომატის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მიერ გაკეთებული გზავნილები საქართველოს ხელისუფლებამ კარგად უნდა გაიგოს.

„2008 წლის ივლისში კონდოლიზა რაისი საქართველოში სპეციალურად იმისთვის ჩამოვიდა, რათა ხელისუფლებისთვის ეთქვა – არ დაეშვა უდიდესი შეცდომა და ომის პროვოკაციას არ აპყოლოდა, თუმცა, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს სააკაშვილმა ცხინვალის დაბომბვის გადაწყვეტილება მიიღო“ – აღნიშნავს ზურაბიშვილი.

მისი განცხადებით, ახლა ჰილარი კლინტონი ჩამოვიდა და 2013 წელს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ითხოვა.

„სააკაშვილმა მოუსმინა და მისი წასვლის შემდეგ, ოპოზიციური ტელევიზია „მეცხრე არხის“ და საზოგადოებრივ ტრანსპორტში რადიო სიხშირეების გათიშვის გადაწყვეტილება მიიღო“ – ნათქვამია განცხადებაში.

ზურაბიშვილის თქმით, აღნიშნული ნაბიჯებით იოლი მისახვედრია როგორ ეშვება მიხეილ სააკაშვილი ძალაუფლებიდან დაღმავალი გზით. ზურაბიშვილის შეფასებით, საქართველოს დემოკრატია უარესობისკენ მიდის და პუტინისეულ დემოკრატიას ემსგავსება.

ნოუსპრესი

ბიძინა ივანიშვილი სამართალდამრღვევად სცნეს

კუბლაშვილი და თორდია ბეჟუაშვილს თავდებში უდგებიან

კონტროლის პალატა და ნათია მოგელაძე ბიძინა ივანიშვილზე რომ მუშაობენ, ყველამ იცის. მაგრამ ახლა ნამეტანი მოუგიდათ და უკვე ძალიან მიკერძოებულები გახდნენ. არადა, ასეც არ შეიძლება. სხვა პარტიებს, მათ შორის მმართველ გუნდსაც სჭირდება მიხედვა და პატრონობა.

თეა მარხვაიძე

ესენი კი მარტო ბიძინა ივანიშვილზე არიან გადამკიდარი და იმის იქით ვერავის ამჩნევენ. ივანიშვილთან დაკავშირებით კონტროლის პალატამ გუშინ მორიგი განცხადება გაავრცელა.

– ფინანსური მონიტორინგის სამსახური აწარმოებდა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ კომპანიების „ბურჯის“, „ელიტა ბურჯის“ და „გლობალ კონსალტინგ გრუპის“ ტექნიკური, პერსონალური და სხვა საშუალებების, პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების საკითხის შესწავლას. საქმე ეხება ამომრჩეველებისათვის მასობრივად და უსასყიდლოდ ათეულ ათასობით სატელეტური ანტენების დარიგების და 239 ერთეული სხვადასხვა კლასის ავტომანქანებით შელავათიანი მომსახურების ფაქტებს.

მონიტორინგის პროცესში მოპოვებული იქნა მტკიცებულებები (დოკუმენტური, ანალიტიკური, მოქალაქეთა გამოკითხვები და ა.შ.), რომლებიც ადასტურებენ პოლიტიკური კოალიციის მიერ საარჩევნო და პოლიტიკური მიზნებისთვის, ზემოაღნიშნული კომპანიების მომსახურების კანონსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტებს, რაც განაპირობებს პოლიტიკური სუბიექტის მიერ კანონით აკრძალული ფინანსური უპირატესობის მიღებას და რაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შემადგენლობას ქმნის.

საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, სამართალდარღვევის სუბიექტად განისაზღვრა გაცხადებული პოლიტიკიური და საარჩევნო მიზნების მქონე ფიზიკური პირი ბიძინა ივანიშვილი, რომლის მიერ, მისი კუთვნილი კომპანიების მეშვეობით ხორციელდებოდა პოლიტიკური და საარჩევნო მოტივაციით, კანონსაწინააღმდეგო სქემების დაფინანსება კანონით დადგენილი რეგულაციების გვერდის ავლის მიზნით.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები და მასალები საქმის შემდგომი განხილვის მიზნით გაეგზავნა სასამართლოს, – ნათქვამია განცხადებაში.

ერთი დღით ადრე კი ივანიშვილის პარტია ამომრჩეველს მოსყიდვაში დაადანაშაულეს. ამის საპასუხოდ მეოცნებეებმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს. სადაც თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ ოქტომბრამდე „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ კიდევ მრავალი პროვოკაცია მოეწყობა. ხიდაშელმა არც საქმეების აღძვრა გამორიცხა. მეოცნებეთა წინასწარმეტყველება ერთ დღეში ახდა.

მეოცნებეები ახლა საქუთაისოდ ემზადებიან. 10 ივნისს ისინი სავარდო და სამაისო ქალაქში აპირებენ აქციის გამართვას. ამ აქციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომაც მეოცნებეები გულმოდგინედ ირჯებიან.

გულმოდგინედ ირჯება ხელისუფლებაც. რეგიონში აქციის გამართვის მნიშვნელობას ისინიც კარგად აცნობიერებენ. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს აქცია ისე ჩატარდეს, როგორც მათ უნდათ.

ოცნების ხალხი უკვე ჩივის, რომ ხელისუფლება მათ წინააღმდეგ პროვოკაციებს ახორციელებს.

ხელისუფლება ქუთაისში 10 ივნისს დაგეგმილი აქციის წინ, იმერეთის რაიონებში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე ზეწოლასა და დევნას ახორციელებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერმა გია ვოლსკის განუცხადა.

მისი თქმით, ზესტაფონსა და ზესტაფონის რაიონის სოფლებში კოალიციის მხარდამჭერებზე ზეწოლას ახორციელებენ ზესტაფონის გამგებელი გივი არაბიძე, ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები და სოფლების გამგებლები.

გია ვოლსკის განცხადებით, ზესტაფონის გამგებელმა გივი არაბიძემ პირადად თავისი ხელით ჩამოხსნა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გამოკრული განცხადებები იმის შესახებ, რომ 10 ივნისს ქუთაისში „ქართული ოცნების“ აქცია იმართება.

მისივე თქმით, ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევში შემავალი ბელღევის დასახლების გამგებელმა მიშა კახნიაშვილმა მცხოვრებლებს სოფელში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან შეხვედრა აუკრძალა, მაღაზიის მფლობელს – მაღაზიის დახურვით, ხოლო ავტობუსის მძღოლს თბილისამდე რეისის გაუქმებით დაემუქრა.

გია ვოლსკის ინფორმაციით, ზესტაფონის რაიონის სოფელ ზორბეთში მცხოვრები რაულ შერგელაშვილი პოლიციაში მხოლოდ იმის გამო დაიბარეს, რომ იგი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია. ვოლსკის თქმით, პოლიციამ შერგელაშვილი იმით დასაჯა, რომ მასთან მცხოვრები ინგლისურის მასწავლებელი საცხოვრებლად სხვა ოჯახში გადაიყვანა.

ვერაფერს იტყვი, მაგარი სასჯელი დაუკისრებიათ მეოცნებეთა მხარდაჭერისთვის. საინტერესოა კიდევ როდის და რა ორიგინალურ იდეას მოიფიქრებენ მმართველი გუნდის წევრები.

საინტერესოა ისიც, შეამოწმებენ თუ არა ასე საგულდაგულოდ სხვა პარტიებს მაკონტროლებელები. ალბათ შეამოწმებენ, თორემ მარტო ერთი პარტიის შემოწმება ეჭვებს იწვევს.

ისე, არც მოლად ასეა საქმე. მაკონტროლებლებს სხვა პარტიაზეც ნაუცდათ ხელი. მათ შორის მმართველ გუნდზეც. ნაციონალი გველუკაშვილის საქმეს კონტროლის პალატა აქტიურად სწავლობს.

ამ უკანასკნელს ამომრჩეველის მოსყიდვა ჰბრალდება. საქმე ისაა, რომ მან საალდგომოდ ხალხს ცხვარი დაუკლა და ღვინოც გამოუტანა. ახლო წარსულში ეს კაი საქმედ ითვლებოდა, ახლა კი დანაშაულია.

რაკი ცხვარზე ჩამოვარდა საქმე ამ მხრივ მოგელაძის უწყებას ბევრი საინტერესო რამის გაგება შეეძლო. 6 ივნისს, მლეთაში ლომისობაზე, უამრავი ცხვარი დაიკლა. ცხვარი დაკლეს როგორც ოპოზიციონერებმა ასევე ნაციონალებმა. საქეიფოდაც უამრავი ადამიანი მიიწვიეს. გველუკაშვილი თუ დამნაშავეა მაშინ ესენიც დამნაშავეები ყოფილან. რა მაგის პასუხია და 6 ივნისს ზოგიერთმა ნაციონალმა და ოპოზიციონერმა ერთად იქეიფა. დაუდასტურებული ინფორმაციით, მათ სასმელი ვახტანგურად კი დალიეს.

ამას ალბათ სათანადო სტრუქტურები გამოიძიებენ. და საპასჰელიოდ ყველას თავის წილს გამოუწერენ.

ახალგაზრდი იურისტთა ასოციაცია კი სხვა რამის გამოძიებას ითხოვს. კერძოდ ახალგაზრდები კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიმართავენ, შეისწავლოს ნაცმოძის ლიდერების რესტორან „მონოპოლში“ და „ტრიუმფში“ მედიცინის მუშაკებთან შეხვედრის ფაქტი.

საია მოუწოდებს კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება პარტიის მიერ შეთაძლო კანონდარღვევასთან დაკავშირებით.

საქმე ეხება 28 მაისს ტელეკომპანია „მაესტროს“ საინფორმაციო გადოშვებაში გასულ სიუჟეტს, რომლის მიხედვითაც, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელები რესტორან „მონოპოლსა“ და „ტრიუმფში“ მედიცინის მუშაკებს ხვდებოდნენ. საია-ს განცხადებით, სიუჟეტიდან ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელები ათას ხუთასზე მეტ ადამიანს დახურულ ფორმატში შეხვდნენ. მედიცინის მუშაკები ადასტურებენ, რომ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს, მედიცინის სფეროში არსებულ პრობლემებს და სფეროში დაგეგმილ რეფორმებს. ჟურნალისტთან საუბარში ექიმები იმ ფაქტსაც ადასტურებენ, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენელები შეხვედრებზე მათ „ალაფურშეტითაც“ გაუმასპინძლდნენ. სიუჟეტიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ შეხვედრებზე, პოლიტიკური თანამდებობის პირებთან ერთად, დედაქალაქის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებიც მონაწილეობდნენ, ხოლო შეხვედრის ადგილები მერიის გეგმაშია გაწერილი. შეხვედრაზე მიწვეული პირები კი აცხადებენ, რომ ისინი არა პარტიულ, არამედ მერიის ეგიდით ორგანიზებულ შეხვედრაზე მიიწვიეს, – აღნიშნულია საიას განცხადებაში.

ასოციაციის განცხადებით, საჯარო პირების აქტიური მონაწილეობა სააგიტაციო შეხვედრებში კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჯარო პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ არის გამიჯნული პარტიული საქმიანობისგან, რაც იწვევს ხელისუფლებისა და პარტიის საქმიანობის აღრევას და ქმნის ადმინისტრაციული რესურსის წინასაარჩევნოდ გამოყენების რისკებს.

– ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტი სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს ცალსახად გამიჯვნისკენ და სახელმწიფოებს ავალდებულებს, პოლიტიკური პარტიები უზრუნველყონ აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მათ შორის კონკურენცია წარიმართოს კანონისა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანასწორი მოპყრობის პირობებში. ბოლო პერიოდში მმართველი პარტიის სააგიტაციო შეხვედრები ამომრჩეველთან დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს. მედიის წარმომადგენლებს აღნიშნულ შეხვედრებზე დასწრების და ღონისძიებების გაშუქების საშუალება არ ეძლევათ. რაც, ერთი მხრივ, გარკვეულ კითხვებს ბადებს შეხვედრებზე გაკეთებული განცხადებების და საარჩევნო დაპირებების შინაარსთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, დაბრკოლებას უქმნის მედიას, მოიპოვოს და გაავრცელოს ინფორმაცია აღნიშნულ შეხვედრებთან დაკავშირებით, – ნათქვამია საიას განცხადებაში.

საიას განცხადებით, სააგიტაციო ღონისძიებაზე ამომრჩეველისათვის გადაცემულ საკვებთან დაკავშირებით, თბილისის მერმა გიგი უგულავამ განმარტა, რომ საკვებზე განეული ხარჯი პარტიის ლეგალური ხარჯია და თუ პარტია საკვებს საკუთარი სახსრებით შეიძენს, ეს კანონდარღვევას არ წარმოადგენს.

– აღნიშნულის საწინააღმდეგოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ საკვებზე გაწეული ხარჯი ვერ განიხილება, როგორც პარტიის ლეგალური ხარჯი, ვინაიდან საკვების შეძენა ხდება სააგიტაციო შეხვედრებისთვის და მისი უფასოდ შეთავაზება და ამომრჩეველისთვის გადაცემაც აღნიშნულ ღონისძიებებზე ხორციელდება. შედეგად კი, ირღვევა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 252 მუხლი, რომლის თანახმად, პარტიას ეკრძალება კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის უსასყიდლოდ საქონლის ან მომსახურების მინოდება ან გავრცელება. აღნიშნულ შემთხვევაში, შესაძლოა ასევე ადგილი ჰქონდეს ამომრჩეველის მოსყიდვის ნიშნებსაც, რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზების, დაპირების, გადაცემის ან გაწევათვის, – ნათქვამია განცხადებაში.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სუფრის გაშლის გამო კიდევ ბევრი პოლიტიკური სკანდალი იტყდება. ასეთ შარში კიდევ ერთი ნაციონალი დავით ბეჟუაშვილია გახვეული. რამდენიმე დღის წინ სოფელ ასურეთში რაღაც დღესასწაული იყო, რომელიც კაი ქართული სუფრით დასრულდა. ამ სუფრაზე ბეჟუაშვილიც იყო.

ჰოდა კოტროლის პალატა ახლა სწავლობს ეს სუფრა გაშალა Yთუ არა ბეჟუაშვილმა. თუ გაშალა, რა მიზნით. დეპუტატები პავლე კუბლაშვილი და ლაშა თორდია იფიცებიან, რომ ეს სუფრა ბეჟუაშვილს არ უკისრიაო.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ამას თორდია ამტკიცებს. კუბლაშვილი ამბობს, სუფრა გაშალა, ოღონდ კანონიერადო.

მიიღებენ თუ არა კანონს სექსუალური უმცირესობების შესახებ

კიდევ ერთხელ ჰომოფობიაზე

ნინო ღვედაშვილი

ევროპარლამენტში 2006 წელს მიღებულ რეზოლუციაში ტერმინი ჰომოფობია ასეა განმარტებული: ,,ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარ განწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმის“. 2007 წელს საქართველომ ევროკავშირში მიღებულ დოკუმენტაციას ხელი მოაწერა. ეს კი სექსუალური უმცირესობების დაცვას გულისხმობს. იურისტების თქმით, სახელმწიფო კანონმდებლობაში ჰომოსექსუალების უფლებების დაცვა საერთოდ არაა აღნიშნული.

მაისში გამართულ აღლუმს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საზოგადოებაში. რუსთაველის გამზირზე ინიდენტები მოხდა და რამდენიმე ადამიანიც დაშავდა. ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი ჰომოსექსუალიზმს გარყვნილებად მოიხსენიებს. სოციალურ ქსელებშიც არაერთგვაროვანი რეაქციები იყო – ზოგი ამართლებდა, ზოგი კი გამოსავლად მათი პრობლემის გაუმჯღავნებლობას ასახელებდა.

ფსიქოლოგები რეკომენდაციას იძლევიან, რომ პრობლემების გადაწყვეტა საკითხის ხმამაღლა დასმითა და მსჯელობით წყდება და არა მიჩუმათებით. მაგალითად კი პროსტიტუციის მსხვერპლთა მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბება მოჰყავთ. ასევეა ტრეფიკინგისადმი შეცვლილი დამოკიდებულება. მათი თქმით, ამ ყველაფერში ,,ლომის წილი“ სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობას მიუძღვის. თუ აქამდე, საზოგადოების აზრით, ტრეფიკინგის მსხვერპლი დამნაშავე თავად იყო, ახლა უკვე მისი უფლებების დაცვისკენ ისწრაფვიან.

სოციალური კვლევების თანახმად, ჰომოსექსუალთა უფლებების დარღვევა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამსახურებსა და თავად სახლებშიც ხდება. ამ ყველაფერს კი ინფორმირებულობის დაბალი დონით ხსნიან.

ამას სტერეოტიპიც ემატება – ჰომოსექსუალობა ავადმყოფობაა. ცოტა ხნის წინ რამდენიმე ადამიანს ჰომოსექსუალიზმზე აზრი ვკითხე და ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ეს დაავადებაა. გამოსავლად კი ამ პრობლემაზე საუბრის შეწყვეტა დაასახელეს. როგორც მითხრეს, თუ ისინი საზოგადოებას თავიანთ პრობლემას თავს არ მოახვევენ, ხალხი მათ მიმართ უფრო მეტ ლოიალობას გამოიჩენს. 1973 წელს ამერიკის ფსიქიატრიულმა ასოციაციამ ჰომოსექსუალიზმი ფსიქიკური აშლილობის ნუსხიდან ამოიღო. მიზეზად კი ჰომოსექსუალების უმრავლესობის აზრს ასახელებდნენ. ისინი ბედნიერი ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ორიენტაციის შეცვლა არ სურდათ.

ხშირად მსმენია, რომ ჰომოსექსუალიზმი ამერიკიდან მოდის. არადა, თავად ამერიკელები ამას საბჭოთა კავშირს აბრალებდნენ.

რამდენიმე თვის წინ პეტერბურგში ჰომოფილიის პროპაგანდისა და პედოფილიის აკრძალვის შესახებ კანონი შეკიდა ძალაში. საქართველოს პატრიარქის მიერ საალდგომო ეპისტოლეში გაფლერებულ ჰომოსექსუალობის პროპაგანდას საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი გამოეხმაურა. მას საკონსტიტუციო ცვლილებები მოჰყვება, სადაც კონკრეტულ ზნეობრივი ქმედებებს განსაზღვრავენ. ,,სახელმწიფო მხოლოდ იმ ოჯახის ინტერესს უნდა იცავდეს, რომელიც ქალისა და მამაკაცისგან არის შემდგარი. სხვა მიმართულება საქართველოში არ უნდა არსებობდეს“, – ამბობს გიორგი ახვლედიანი „ნეტგაზეთთან“ საუბარში.

იურისტები კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს იმას, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და მათ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება აქვთ.

კოალიცია ქართული ოცნების“ ლიდერს ხმის მიცემის უფლება მთაწმინდის ოლქში ექნება

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს ამომრჩევლის სტატუსით არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მთაწმინდის ოლქში ექნება.

ამას თვალისწინებს „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც პარლამენტის ბიუროზე გუშინ წარადგინეს.

პროექტის თანახმად, ამომრჩეველთა სიის დაზუსტების უზრუნველყოფის სახელმწიფო კომისია უფლებამოსილია პირველ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველად დაარეგისტრიროს საქართველოში დაბადებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები.

პირველი საარჩევნო ოლქი საარჩევნო საზღვრების მიხედვით მთაწმინდის რაიონში მდებარეობს.

კონსტიტუციაში შესული ცვლილებების თანახმად, 2014 წლის პირველ იანვრამდე, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოქალაქეებთან ერთად მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება აქვს პირს, რომელიც დაიბადა და ბოლო ხუთი წელი ცხოვრობს საქართველოში და ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეა.

ნოუსპრესი

სამართალი
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სასამართლო სისტემა რეფორმის გზაჯვარედინზე

ქართული სასამართლო რეფორმების შესახებ ერთ-ერთ გავლენიან რუსულ საინფორმაციო საიტზე (rapsinews.ru) საკმაოდ ვრცელი და საინტერესო სტატია დაიბეჭდა. რუსი ჟურნალისტი დენის დვორნიკოვი, რომელიც ამავე დროს, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრი და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია სამი დღის მანძილზე თბილისში იმყოფებოდა და ქართულ სასამართლო სისტემას ეცნობოდა.

რუსეთის პრესაში ხშირად მსჯელობენ საქართველოს პოლიციის რეფორმირების გამოცდილებაზე. თუმცა შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი სამხრეთელი მეზობლების ამგვარი პროგრესი, რომ არა მათი კომპლექსური მიდგომა მთელი სამართალდამცავი სისტემის რეფორმირებისადმი.

ამასთან ერთად, ჩვენ აქ, რუსეთში, არც ისე ბევრი რამ ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს საქართველოს სამართლებლივი სისტემა. ეს ხარვეზი რომ შეგვეცსო, რამდენიმე დღის წინ გახლდით საქრთველოს დედაქალაქში. ამ მოგზაურობისას მე მოვახერხე არა მარტო საქართველოს სასამართლო სისტემის დაწესებულებების მონახულება, არამედ დეტალურად გავსაუბრებოდი მოსამართლეებს და უზენაესი სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს.

ჩემი ვიზიტი, როგორც რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წარმომადგენლისა, საქართველოს თემიდისათვის არ გამხდარა საეჭვო და უცნაური მოვლენა. პირიქით, მათი კეთილგანწყობა და გახსნილობა იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან რეფორმით მიღწეულ შედეგებსა და სამუშაო სტანდარტებში. საიდუმლოს არ წარმოადგენს ისიც, რომ საქართველოს ოპოზიციამაც კი აღიარა ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის სასამართლო სისტემაში კორუფცია აღარ არის.

უზენასი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს ხელმძღვანელის, ლაშა მაღრაძის სიტყვებით, დაახლოებით 1997 წლიდან საქართველოში იყო ბევრი მცდელობა სასამართლო სისტემის რეფორმირებისა, მაგრამ ყველა მცდელობა მარცხით მთავრდებოდა, პირველ რიგში, "ძირეული ცვლილებების მიმართ პოლიტიკური ნების არარსებობის გამო"; და მხოლოდ 2005 წელს ახალი ადამიანების სასამართლო სისტემის ხელმძღვანელობაში მოსვლასთან ერთად, რეალურად მოხერხდა სერიოზული რეფორმების განხორციელება. პოლიტიკური ნება, ყველა ჩემი რესპოდენტების აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ რეფორმირება განიცადა იუსტიციის მთელმა სისტემამ, და არა ზოგიერთმა ქვეგანაყოფებმა და ინსტიტუტებმა.

ისე მოხდა, რომ რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წარმომადგენლის ვიზიტი დაემთხვა პროფესიულ დღესასწაულს - მოსამართლეთა დღეს. ეს დღესასწაული საქართველოში უკვე რამდენიმე წელია აღინიშნება. ამ სტრიქონების ავტორს წილად ხვდა ბედნიერება აღმოჩენილიყო სადღესასწაულო საღამოზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსამართლეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

პირველი, რაზეც შეუძლებელი იყო ყურადღება არ მიგვექცია ეს იყო - საქართველოს თემიდის მსახურთა ახალგაზრდა ასაკი. ცნობილია, რომ შვიდი წლის წინათ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდა კონსტანტინე კუბლაშვილი, რომელიც მაშინ 32 წლის იყო. რამდენიმე წელიწადში მან მოახერხა თანამოაზრეთა ჯგუფის შეკრება - ახალგაზრდა და მიზანდასახული მოსამართლეების, რომლებიც გარდა დიდი სურვილისა რეფორმა ბოლომდე განახორციელონ, ფლობენ სტრატეგიულ აზროვნებას. მოსამართლეთა საშუალო ასაკი - 35-დან 40 წლამდეა. თუმცა, რეფორმის გამტარებლის აზრით, სასამართლო კორუსის გაახალგაზრდავება არ წარმოადგენს თვითმიზანს, მთავარი იყო "წინა შემბღალავი ტრადიციების" აღმოფხვრა.

ექვსჯერ მეტი

ვისთანაც არ უნდა წამომეწყო საუბარი 2005 წლამდე საქართველოს სასამართლოებში საქმეთა მდგომარეობის თაობაზე - ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ეს იყო სრულიად კორუმპირებული სისტემა. გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ფულის ან საჩუქრის სანაცვლოდ. ეს იყო ჩვევა, ან თუ შეიძლება ასე ითქვას სამართალწარმოების თავისებური "კულტურა". საერთოდ ამგვარი რამ შეიძლება გვეხილა ყოველგვარ სიტუაციაში, სადაც მოქალაქისა და სახელმწიფოს ინტერესები იკვეთებოდა.

2005 წელს დაიწყო კორუფციასთან დაუნდობელი ბრძოლა. დაახლოებით სამ წელიწადში თოთხმეტმა მოსამართლემ არა მარტო დაკარგა თავისი სტატუსი, არამედ აღმოჩდნენ გასამართლებულნი კორუფციული დანაშაულებების გამო. პარალელულად იქნა დასმული ამოცანათა მთელი კომპლექსი: აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სასამართლო მმართველობის მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევა, ინსტიტუციური გარდაქმნა, ხელფასებისა და სასამართლო სისტემის ბიუჯეტის გაზრდა, თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა. მოსამართლეებმა, რომელებთანაც შევძელი გასაუბრება, დაადასტურეს: დღეს მუშაობის ისეთი პირობებია შექმნილი, რომ მოსამართლემ არ უნდა იფიქროს არაფერზე, გარდა იმ გადაწყვეტილებებისა, რომელიც მან უნდა მიიღოს.

თუ, პირველი ინსტანციის მოსამართლეთა ხელფასი 2005 წელს შეადგენდა 500 ლარს (250 ევროს), დღეს მოსამართლე ანალოგიურ პოზიციაზე იღებს 3000 ლარს (1500 ევროს). ექვსჯერ უფრო მეტს. იმის გარდა, რომ ხელფასები გაიზარდა, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მათი რაოდენობა იხილოს სასამართლოს საიტზე, ამასთან ერთად - მთელი ბიუჯეტიც, მაგალითად, იგივე საქართველოს უზენაესი სასამართლოსი.

სამი ინსტანცია

ყველა საქმის განხილვა ხორციელდება სამი ინსტანციის საზღვრებში.

პირველი ინსტანცია - მსხვილი ქალაქების საქალაქო სასამართლეები და რაიონული სასამართლოები (სახელმწიფოს რაიონულ ცენტრებში), რომელთა რიცხვს აგრეთვე მიეკუთვნებიან მაგისტრი მოსამართლეებიც. მაგისტრი მოსამართლეები განიხილავენ მარტივ საქმეებს რაიონებსა და სოფლებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, წარმოადგენენ საქალაქო ან რაიონული სასამართლოს ნაწილს.

იმისთვის, რომ შემცირებულიყო ბიუროკრატია მოხდა სასამართლოების გამსხვილება. თუ ადრე თბილისში იყო ხუთი სასამართლო, ქალაქის სხვადასხვა რაიონში, დღეს - ერთი გაერთიანებული სასამართლოა, რომელიც განიხილავს საქმეებს სამი მიმართულებით: სამოქალაქოს, სისხლის და ადმინისტრაციულის. მოქალაქეებისათვის მაქსიმალურად გამარტივებულია პროცედურები, მათ დღეს შეუძლიათ შემოიტანონ სასარჩელო განცხადებები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ერთ სასამართლოში.

მეორე ინსტანციის სახით მოქმედებს ორი სააპელაციო სასამართლო: ერთი თბილისში, მეორე კი - საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ქუთაისში. ამგვარად, ყველა სააპელაციო საქმეები განიხილება ტერიტორიული ნიშნით ქვეყნის ორ ნაწილში: აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

მესამე ინსტანცია - საკასაციო, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლო. 2005 წლამდე უზენაესი სასამართლო განიხილავდა პირველი ინსტანციის საქმეებს. თუმცა, დღეს მისი სამუშაო კონცენტრირებულია საკასაციო საჩივრების განხილვაზე, მაგრამ უმთავრესად - სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაზე.

ვიზიტმა თბილისის საქალაქო სასამართლოში - უდიდეს სასამართლო კომპლექსში - ჭეშმარიტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დღევანდელ დღეს იგი ჭეშმარიტად წარმოადგენს შეხვედრის ადგილს საქართველოს მოქალაქისა მართლმსაჯულებასთან - ამ სასამართლოს ყველაზე მეტი დატვირთვა აქვს. უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის ნანა ვასაძის თქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მთელი საქართველოს მაშტაბით განხილული საქმეების ..... პროცენტი განიხილება.

დატვირთვა საგრძნობია, მაინც თბილისია - ქალაქი, მილიონობით მცხოვრებით, თუმცა რიგები არ ჩანს...

"ჩვენთვის მთავარი იყო მაქსიმალურად კომფორტული პირობები შეგვექმნა ნებისმიერ საკითხზე მოსულთათვის. მოქალაქეთა მისაღების თანამშრომლებს ხშირად უტარდებათ ტრენინგები, რათა მათი მომსახურება მოქალაქეებისთვის იყოს ოპერატიული და პროფესიული. შევქმენით საინფორმაციო სამსახურიც, რომელიც პასუხობს სასამართლოში მოსული მოქალაქეების შეკითხვებზე. მალე აშენდება ახალი საინფორმაციო ცენტრიც, რომელიც მოქალაქეებს მომსახურების სრულ პაკეტს მიაწვდის და ამ ცენტრის მეშვეობით, კიდევ უფრო კომფორტული და ოპერატიული გახდება სასამართლოსთან ურთიერთობა", - მიხსნის ნანა ვასაძე.

სასამართლოს ფოიემ თავისი აღჭურვილობით მომაგონა თანამედროვე ევროპული ბანკი, რომელიც უფრთხილდება კლიენტების წინაშე თავის რეპუტაციას. მოსულთათვის სპეციალური ტერმინალის ეკრანზე თითის დაჭერით, განმცხადებელი ან ნებისმიერი სასამართლო პროცესის მონაწილე იღებს ქვითარს ნომრით, რომელიც მალევე აენთება ერთიანი საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლის სარკმელის თავზე. არც რიგებია, არც გაუგებარი დაბრკოლებები, რაც მთავარია, ხალხს "თავიდან არ იშორებენ" ფორმალურობის გამო, მაგალითად სასარჩელო განცხადებაში გამორჩენილი მძიმის გამო, არამედ გეხმარებიან პრობლემის გადაწყვეტაში. თანამშრომლები ზედმიწევნით ზრდილობიანები და მომთმენნი არიან.

სასამართლო კოლეგიები და სხდომის დარბაზები გადანაწილებულია უზარმაზარი შენობის სამ სართულზე. პირველ სართულზე ისმინება სისხლის სამართლის საქმეები. ეს პირველ რიგში, დაკავშირებულია უსაფრთხოების საკითხთან და განსასჯელების მოყვანის მოხერხებულობასთან. მეორე სართული უკავია სამოქალაქო კოლეგიას, ხოლო მეექვსე - ადმინისტრაციულს.

"ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს ვინც ედავება, მათთვის უფრო ძნელი იყოს სართულზე ასვლა?" - ვცადე მეხუმრა. "სხვათა შორის, ჩვენ მოხერხებული ლიფტი გვაქვს", - მიპასუხა ნანამ. "გარდა ამისა, სტატისტიკის მიხედვით მოქალაქეები სახელმწიფოს უგებენ 60%-ზე მეტ საქმეებს. მათ შორის ძალზე მნიშვნელოვნებსაც. არც ისე დიდი ხნის წინ ერთმა მოქალაქემ შეძლო დაებრუნებინა რამდენიმე მილიონი ლარი ზედმეტად გადახდილი გადასახადის სახით, და ეს მხოლოდ ერთადერთი პროცესი არ არის".

ინსტიტუციონალური რეფორმების გარდა, გატარებული იყო საკანონმდებლო ცვლილებების კომპლექსი, რომელიც ეხებოდა, როგორც მოსამართლეთა სტატუსს, ისე სასამართლოს მუშაობას. მათ შორისაა - მოსამართლეთა უვადო დანიშვნა. იგი ახალი კანონის თანახმად, რეალიზებული იქნება 2013 წლიდან. ადგილობრივი ექსპერტების აზრით, ეს ძალიან დიდი მიღწევაა, რომელიც დამოუკიდებლობის გარანტიას იძლევა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო სპეციალური კანონის მიღება, რომელიც ახდენს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კომუნიკაციის წესების რეგლამენტირებას, არა მარტო მოსამართლეთა ქცევის ნორმების, არამედ მაღალჩინოსან თანამდებობის პირებისაც. ეს კანონი ითვალისწინებს სერიოზულ სისხლის სამართლის სანქციებს, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპების დარღვევისათვის. ამასთან ერთად ისჯებიან არა მარტო მოსამართლეები, არამედ ისინიც, ვინც ცდილობს მათზე რამენაირი ზეგავლენა მოახდინოს. ესაა ერთგვარი "მართლმსაჯულების ეთიკის კოდექსი", რომელიც რეგლამენტირებას ახდენს სასამართლო პროცესის ყველა ხილულ, თუ ფარულ მონაწილეთა, ასევე პროცესში დაინტერესებულ პირთა ქცევისა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო

საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტი გახდა, ქართველ კოლეგათა აზრით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა, რომელსაც აქვს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, რომელთაგან მთავარს წარმოადგენს სასამართლო სისტემის ბიუჯეტის ფორმირება, უზენაესი სასამართლოს გამოკლებით, რომელსაც გაჩნია თავისი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. ასევე ეს ორგანო აწარმოებს ყველა მნიშვნელოვან საკადრო საკითხებს, სამსახურში მიღების ჩათვლით, დისციპლინური სასჯელის დაკისრებას და დათხოვნას, მოსამართლეთა წინსვლას მათ უფრო მაღალ ინსტანციაში დანიშვნას, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომელთა საქმიანობასა და დაწინაურებას, რომელთა მუშაობა აგრეთვე საბჭოს მეთვალყურეობის ქვეშაა.

2007 წლამდე საბჭო წარმოადგენდა, პრეზიდენტის როგორც ერთგვარ სათათბირო ორგანოს, რომელიც ავტომატურად წარმოადგენდა მის თავმჯდომარეს, რაც, რა თქმა უნდა, არღვევდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის განმსაზღვრელ ადმინისტრაციულ ბალანსს. საბჭოს მდივანი ასევე ინიშნებოდა პრეზიდენტის მიერ. დღეს კი, საბჭოს მეთაურობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის საბჭოს მდივანი, როგორც ყველა დანარჩენი წევრები, რომელებიც წარმოადგენენ მოსამართლეთა საზოგადოებას, ირჩევა მოსამართლეთა კონფერენციით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირება ხდება სასამართლო სისტემის, პარლამენტის და პრეზიდენტის მიერ. მისი უმეტესი ნაწილი შედგება მოსამართლეებისგან. ორი წევრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ, 4 - პარლამენტის მიერ, ამასთან ერთად დეპუტატმა-წევრებმა უნდა შეაჩერონ წევრობა პოლიტიკურ პარტიებში, ხოლო ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად ირჩევა პარლამენტის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიიდან. გარდა ამისა, საბჭოს წევრები არ უნდა იღებდნენ არანაირ სხვაგვარ შემოსავალს, ოფიციალური ხელფასის გარდა. აკრძალულია აქციების ფლობაც.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის აზრით, პარლამენტის წარმომადგენელთა მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, რამდენადაც ისინი იცავენ სასამართლო სისტემის ბიუჯეტს, ისინი არგუმენტაციას უწევენ კოლეგა-დეპუტატების წინაშე ხარჯების აუცილებლობას ამა თუ იმ საჭიროებისათვის. ფაქტიურად ეს დეპუტატები, მოლაპარაკების პროცესით, სასამართლო სისტემის ლობირებას ახდენენ პარლამენტში. ამგვარი პრაქტიკის შესახებ იყო ეჭვი, რომელიც გამოითქმებოდა მათ შორის ამერიკელი ექსპერტების მიერ, თუმცა, მოსამართლეთა აზრით, საბჭოს მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში პარლამენტის წევრთა მონაწილეობას არანაირი პრობლემა არ შეუქმნია. პირიქით - დაამტკიცა ეფექტურობა. საბიუჯეტო პროგრამების რეალიზაცია, როგორც რუსეთში, ხორციელდება სპეციალურად შექმნილი სასამართლო დეპარტამენტის მიერ.

როგორ უნდა გახდე მოსამართლე

უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებთან საუბრისას წარმოიშვა კითხვა: "ვინ შეიძლება გახდეს მოსამართლე?" აღმოჩნდა, რომ რეფორმის დასაწყისთან შედარებით შეიცვალა კადრების შერჩევის პრინციპი და წესი.

მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი ჯერ აბარებს სამოსამართლეო გამოცდას, ამის შემდეგ იგი გადის გასაუბრებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და მხოლოდ საუკეთესოები ირიცხებიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. ამ სკოლაში ჩარიცხვა, ადგილთა რაოდენობა, განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. ძალზე მნიშვნელოვანია საერთო ინტელექტუალური ტესტი, რომელიც პირადი განვითარების დონის განმსაზღვრელია. იუსტიციის უმაღლესი სკოლა მუშაობს 2007 წლიდან და ქვეყანაში აქვს სამი წარმომადგენლობა. ცენტრალური ფილიალის გარდა, ფუნქციონირებს ოფისები წყალტუბოსა და ბათუმში. სკოლის შექმნამდე პრაქტიკაში შემოღებული იყო კანდიდატების სწავლების ორკვირიანი კურსი, რაც აშკარად არ იყო საკმარისი.

დღეს სწავლების კურსი შეადგენს 10 თვეს, რომელთა მიმდინარეობისას კანდიდატი იღებს მოსამართლედ მუშაობისათვის ყველა აუცილებელ ცოდნას. სწავლება კონცენტრირებულია იმ პრაქტიკულ ცოდნაზე, რომელიც აუცილებელია მომავალი მოსამართლებისთვის. სწავლების კურსი ითვალისწინებს ასევე პრაქტიკას სასამართლოებში. ამ სასწავლო პროცესში გამოცდილი მოსამართლეები ხდებიან ახალგაზრდა კანდიდატების დამრიგებლები, და მათ ეხმარებიან ინტერნატურის სტადიის გავლაში (პრაქტიკულ მეცადინეობებში). საშუალოდ წელიწადში სწავლებას გადის 7-დან 10-მდე სტუდენტი, რომელთა სწავლის შედეგებისა და გამოსაშვები ტესტების მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, მათი მოსამართლედ გამწესების შესახებ. 2005 წლიდან მოსამართლეთა საზოგადოება განახლდა დაახლოებით ახალი თაობის 160 მოსამართლით. ეს კორპუსის დაახლოებით 75 პროცენტია.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

2011 წლიდან ამუშავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. სასამართლო პროცესის ფარგლებში ნაფიც მსაჯულთა ჟიური განსაზღვრავს მხოლოდ განსასჯელის ბრალეულობის ფაქტს, ამასთან ერთად, სასჯელი ისაზღვრება მოსამართლის მიერ. მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება და საბოლოოა.

გასული წლიდან ჯერჯერობით შესდგა მხოლოდ ორი ამგვარი პროცესი, და მხოლოდ თბილისში. 2012 წლის ბოლოდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებას დაიწყებს ქუთაისში. ჯერჯერობით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებს ექვემდებარება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის საქმეები. ახლო მომავალში კი ნაფიც მსაჯულთა მიერ განსჯადი საქმეების არეალი გაფართოვდება.

თუმცა, ძირითადი მნიშვნელობა, რომელსაც ანიჭებენ რეფორმატორები ამ სახის სამართალწარმოებას, ესაა - მოსახლეობის ნდობის გაზრდა სამართლწარმოების სისტემის მიმართ, მოქალაქეთა ჩართვა სასამართლო პროცესში, რომელთაც უნდა გაიგონ და ამავე დროს ჩასწვდნენ გადაწყვეტილების მიღების სირთულეს. როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში მსაჯულთა შერჩევის დროს სარგებლობენ ამომრჩეველთა სიებით. ამასთან, ვინც გაიარა მსაჯულთა შერჩევა, მისი მონაწილეობა სასამართლო პროცესში - მკაცრად აუცილებელია. თუ მართლაც არ არსებობს საპატიო მიზეზი, მაშინ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატი, რომელიც შეეცდება თავი აარიდოს ვალდებულების შესრულებას სერიოზულად დაჯარიმდება.

სპიკერ-მოსამართლეები

საქართველოში სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ დიდ მიღწევას წარმოადგენს ფარდის რღვევა სასამართლოს, საზოგადოებასა და სამოქალაქო ინსტიტუტებს შორის. ზოგიერთი საერთაშორისო კვლევათა მონაცემებით დღეს ქვეყნის სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის დონე შეადგენს 60%-დან 70%-მდე; და აქ, წარმატების მთავარი მიზეზი გახდა კომპლექსური სტრატეგიული მიდგომა საზოგადოებასთან.

ნანა ვასაძის აზრით, გარე კავშირების სისტემა არ უნდა მოქმედებდეს წერტილოვნად, არამედ - კომპლექსურად და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. იმის გარდა, რომ იყო შექმნილი პირობები, რომლის დროსაც მოქალაქე, როცა მოდის სასამართლოში, სწრაფად და კვალიფიციურად იღებს სრულ, საჭირო ინფორმაციას (სისტემის მეგობრულობა "შიმხმარებლის" მიმართ), იყო დამუშავებული და თანმიმდევრულად რეალიზებული საჯარო მოლვაწეობის მრავალი მიმართულები. ეს არის მოსამართლეთა გათვითცნობიერება ჟურნალისტებთან ურთიერთობაში, სპიკერ-მოსამართლეების მომზადება, ბავშვებთან, სახელმწიფო ორგანოებთან მუშაობა, ჟურნალისტებისთვის მრავალრიცხოვანი ტრენინგები, აქტიური საგამომცემლო მოღვაწეობა, არასამთავარობო ორგანიზაციებთან მუშაობა.

ნანა ვასაძე სასამართლოში მოვიდა ჟურნალისტიკიდან. უზენაეს სასამართლოში, მისი კაბინეტის გვერდით კიდია რამდენიმე საკონკურსო (სამუშაო) ილუსტრაციები, მაგიდაზე სწავლებისა და ტრენინგებისათვის განკუთვნილი ლამაზად გაფორმებული ნაირ-ნაირი ბროშურებია. ყველაფერი: დაწყებული დიზაინიდან, პოლიგრაფიიდან ტექსტის შინაარსის ჩათვლით, შესრულებულია უმაღლეს დონეზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განსაკუთრებულ სიამაყეს წარმოადგენს სპიკერ-მოსამართლის თანამდებობის შემოღება. სპიკერ-მოსამართლეების მონაწილეობის მოდელი აღებულია დასვლეთ-ევროპული ქვეყნების პრაქტიკიდან, კერძოდ, გამოყენებულია გერმანიის პრაქტიკა. ქვეყნის დიდ სასამართლოში ამჟამად 2-3 სპეციალური განათლების მოსამართლეა რომლებიც, ყოველთვის მზად არიან კომენტარი გაუკეთონ თავისი კოლეგების მიერ ამა თუ იმ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. იმისთვის, რომ ამ მექანიზმმა იმუშაოს, იყო ჩატარებული ბევრი სპეციალური ტრენინგი, აგრეთვე მრავალფეროვანი ღონისძიებები ჟურნალისტებისა და მოსამართლეთა მონაწილეობით. ტრენინგების ავტორები მიისწრაფოდნენ არა მარტო მოეთხროთ მიღწევათა შესახებ,

ევროპა აფხაზეთთან დაახლოებას გვთხოვს

ამერიკის სახელმწიფო მდივნის მიერ გაჟღერებული პოლიტიკური სიგნალების შემდგომ განსხვავებული შეფასებები კეთდება. კლინტონის მთავარი გზავნილი იყო დემოკრატიული სახელმწიფოს შშენებლობა და დემოკრატიული არჩევნები, თუმცა, უცხოური მედიის აზრით, ამერიკის პირველმა დიპლომატმა თავის თავზე აიღო „მიშა აღმაშენებლის“ შემდგომი ბედი.

შორენა კოწოწაშვილი

ნესტან კირთაძე

რამდენად დაგვიანებულია ნეიტრალური პასპორტების შემოღება და დაიწყო თუ არა ევროპამ კონკრეტული ინიციატივების მხარდაჭერა აფხაზებთან დაახლოების კუთხით? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ– აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ დამფუძნებელ ნესტან კირთაძესთან.

– ქალბატონო ნესტან, რას იტყვით ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტზე და ვერ გამოუვა ხელისუფლებას, ამტკიცოს, რომ კლინტონი მოქმედ ხელისუფლებას მხარს უჭერს?

– მე საკითხს ასე არ დავსვამდი ან გავექცეოდი ტრადიციულ კლიშეებს. ერთი მხრივ, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია მხარს უჭერს მოქმედ ხელისუფლებას, ან არის მეორე, უფრო მსუბუქი კლიშე, რომ ამერიკიდან ჩამოდიან იმიტომ, რომ ყურში ჩასჩურჩულონ მიშა სააკაშვილს, რომ შენი დრო უკვე დამთავრდა და უნდა წახვიდე. ასეთი ტიპის ინსინუაციების მომხრე მე, პირადად, არა ვარ ისევე, როგორც ასე არ უნდა იყოს მოწყობილი ჩვენი საზოგადოება. ვფიქრობ, ხალხი ბევრად უფრო რეალისტურად არის განწყობილი პროცესებისა და ზოგადად ასეთი პოლიტიკური აქციების მიმართ, ვიდრე, დავუშვათ, ჩვენი პოლიტიკური წრეები. რა მაქვს მხედველობაში: რა თქმა უნდა, ეს ვიზიტი უნდა შეფასდეს, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, იმიტომ რომ საუბარია ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის ძალიან მაღალი პოლიტიკური რაგნის ფიგურაზე, პირველ დიპლომატზე. მაგრამ ეს ყველაფერი განხილულია სწორედ იმ ტურნეს ფარგლებში, რომელიც განახორციელა კლინტონმა სამხრეთ კავკასიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ სისხლხორცეულად არის დაინტერესებული რეგიონით. რეგიონში აშშ-ის სტრატეგიული ინტერესებთან, რომელიც არის ძალიან მრავალმიმართულებიანი. თუმცა, რასაკვირველია, მათ ზუსტად იციან, რომ პროცესი საქართველოში ინერციულად ვერ გაგრძელდება; რომ რამდენიმე სენატორის ან პოლიტიკური ჯგუფის მხარდაჭერა ხელისუფლებისადმი არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში მხარი მოქმედ ხელისუფლებას უნდა დაუჭირონ. კლინტონის ვიზიტის დროს სრულიად მკაფიო სიგნალები გაისმა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი წელი – 2012 წელი; ვუსმენდი კლინტონს და მან ცალსახად თქვა, რომ ეს უნდა იყოს ქართველი ხალხის არჩევანის გამარჯვებისა და რეალური ცვლილებების მომტანი წელი. ეს ყველაფერი გასაგებია, მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, თავად ჩვენი ხალხი რამდენად მზად იქნება, მართლაც მოიტანოს რეალური ცვლილებები.

– ხელისუფლება ეჭვქვეშ არ აყენებს და კლინტონის ვიზიტის დროსაც ოთქვა ლიდერი ნაციონალებისაგან, ყველასთვის ცნობილია, რომ 2013 წელს ხელისუფლება უნდა შეიცვალოსო, ანუ ხელისუფლება აპელირებს არა საპარლამენტო, არამედ საპრეზიდენტო არჩევნებზე...

– არა, რასაკვირველია, ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ 2012 წელი არის მნიშვნელოვანი არჩევნების წელი და ეს პირდაპირ არის დაკავშირებული საკანონმდებლო ორგანოსთან, მაგრამ 2013 წელი დადებულია, როგორც პოლიტიკური თარიღი, რადგან მან უნდა შეცვალოს მოლიანად პოლიტიკური ველი. რა მაქვს მხედველობაში. ჯერ ერთი, ეს არის საპრეზიდენტო არჩევნების წელი, იქნება სრულიად ახალი პრეზიდენტი და სამთავრობო შემადგენლობა. ამ წელს ამოქმედდება ახალი კონსტიტუციაც. იმიტომაც 2013 წელი არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური თარიღი საქართველოსათვის. ამიტომაც, როდესაც სახელისუფლებო ექსპერტები ამ თარიღზე აპელირებენ, აპელირებენ იმაზე იმ აქცენტით, რომ ეს ხელისუფლება კიდევ დიდხანს იქნება. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა უნდა მოიტანოს ნიშნები დიდი სერიოზული, დიდი ცვლილებებისა. ხოლო 2013 წელს უნდა მოხდეს ხელისუფლების გადაცემა.

– სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას გაუსვა ხაზი, „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით კი კლინტონმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა საკაშვილის შემდგომ ბედზე. თქვენი აზრით, ამ შეხვედრაზე საკაშვილის მომავალზე იყო საუბარი?

– კი, ეს საინტერესო პუბლიკაციაა. ასეთი ტიპის შეხვედრებზე მომავალზე საუბარი არ არის. ეს საუბარი, ვფიქრობ, გამოიკვეთა საკაშვილის ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტის დროს. სხვათა შორის, იგი არ გამოკვეთილა არც ობამა-საკაშვილის შეხვედრის დროს. ასეთი ტიპის საუბრები, პირდაპირი ფორმულები და პირდაპირი გზავნილები კეთდება ხოლმე კულისური შეთანხმებების დროს. რა თქმა უნდა, მიშასაც და მის ხელისუფლებასაც უთხრეს, რომ ცვლილებები უნდა მოხდეს. იმიტომ რომ ეს არის სრულიად სხვა ეტაპი, სრულიად სხვა გამოწვევები და განწყობები ხალხისა. ვერავინ შეეგუება ხალხის ემოციებისა და მდგომარეობის იგნორირებას. თუ ვინმე ამას გაბედავს, მიიღებს, რა თქმა უნდა, მყიფე სტაბილურობას, რომელიც შეიძლება აფეთქების ზღვარზე დადგეს. ყველა დაინტერესებულია, რეგიონში იყოს მშვიდობა და გრძელვადიანი სტაბილურობა. იმ რეგიონში, რომელიც რეგიონული კონფლიქტებით არის სავსე; სადაც სტაბილურობა მყიფე და პირობითი ხასიათისაა და სადაც დასავლეთის დიდი ინტერესებია, მათ შორის გაზის, ნავთობის და ა.შ.

– ვიზიტის ფარგლებში საუბარი იყო აგრეთვე რუსეთის მხრიდან სამხედრო წვრთნების დაწყებაზე. კლინტონი ფოქრობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოსთვის არჩევნებია და არა რუსეთის სამხედრო წვრთნები.

– ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური სიგნალი. თუმცა ღიად ვთქვათ, როგორც ეს პირველად გამოცხადდა, ყველამ მიიღო ეს, როგორც გამოწვევა, სიგნალი და როგორც სახიფათო გამოწვევა, იმიტომ რომ ყველას ახსოვს 2008 წლის სამხედრო წვრთნები კონკრეტული მოწოდებებით და სამხედრო გეგმით. მაგრამ, როდესაც ლაპარაკობს აშშ-ის პირველი დიპლომატი, რა თქმა უნდა, ეს დიპლომატიური მანევრია ღირებულებისა და აქცენტების დონეზე, რომ მთავარი არჩევნებია და დანარჩენი კომუფლაჟია ყველაფრისა. მაგრამ ჩვენ არაფერი არ უნდა გამოვრიცხოთ. ეს სიგნალი რუსეთის ფედერაციისაგან, რომ სწორედ ამ პერიოდში სამხედრო წვრთნები არის უკვე წინასწარ გაცხადებული, როგორც მკაფიო გამოწვევა და საფრთხის შემცველი, რომლისთვისაც ჩვენ მზად უნდა ვიყოთ არა სამხედრო რიტორიკის, რუსოფობიური განცხადებებით, არამედ იმითაც, რომ სწორედ ამ არჩევნებს მივანიჭოთ ძალიან დიდი მნიშვნელობა, რომ ეს იყოს მართლაც ერთიანი სახალხო ნების გამომხატველი ნიშანი და არა კონკრეტულ პოლიტიკურ ოფისებში მიღებული გადაწყვეტილებები.

– რამდენად მნიშვნელოვნად და აუცილებელ ნაბიჯად მიგაჩნიათ ნეიტრალური სამგზაური ბარათების შემოღება აფხაზეთისა და ცხინვალის მოსახლეობისთვის? ექსპერტი რაზმს საყვარლიძე მიიჩნევს, რომ ეს უკვე დაგვიანებულია. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მიიჩნევს, რომ ეს გაუადვილებს იმავე აფხაზებს ამერიკაში გამგზავრებას და ა.შ.

– ეს იყო ძალიან საინტერესო, ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი გზავნილი, რომელიც სახელმწიფო მდივნისაგან გაისმა. თუმცა ნეიტრალური პასპორტების იდეა არც იდეის და არც საკანონმდებლო განხილვების დონეზე ქართველი საზოგადოების დონეზე და მით უმეტეს აფხაზებისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის უცხო არ იყო, იმიტომ რომ ეს საკითხი საქართველოში განიხილებოდა საქართველოს პარლამენტში. ამას მოჰყვა თავისი რეაქციები ცხინვალიდან და სოხუმიდან. არა, მე, რამაზ საყვარელიძისგან განსხვავებით, აქ დავინახე ორი მთავარი მიმართულება. მიმართულება პირველი – ის, რომ დასავლეთი ჯიუტად ადგას და საინტერესო სიჯიუტეა ეს პოლიტიკა, როდესაც მათ პოლიტიკური პლატფორმის დონეზე უკვე გამოაქვეყნეს არაღიარების, მაგრამ ჩართულობის პროგრამა. ეს არის მათი მხრიდან არაღიარების, მაგრამ ჩართულობის პროგრამა. სწორედ ამ პროგრამაში განხილული საკითხი გახლავთ. ახლა, რამდენად მისაღები იქნება ეს სოხუმისა და ცხინვალისათვის, უკვე არა მხოლოდ პროცედურული, არამედ პოლიტიკური საკითხია. ჩემი ინფორმაციით, ეს, ალბათ, პირველად გაჟღერდება თქვენი გაზეთით. უახლოეს მომავალში იგეგმება აშშ-ის ელჩ ჯონ ბასის ვიზიტი სოხუმში. მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, ბატონ ანქვაბთან ერთად მას ექნება ამ თემებზე საუბარი კონკრეტულად პროცედურებთან დაკავშირებით; ბევრად უფრო შინაარსიანი და ბევრად უფრო გახსნილი საუბარი. მაგრამ, ვიმეორებ, ეს არის, ერთი მხრივ, პროცედურული, მეორე მხრივ, პოლიტიკური ნების გამომხატველი საკითხი. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ ძალიან საინტერესო ტენდენცია იკვეთება: ყველა ხვდება, მათ შორის ევროპული დასავლეთი და აშშ-ც, რომ მიუხედავად არაღიარებისა, ეს რეგიონები, მათი მოსახლეობა იზოლაციაში არ უნდა აღმოჩნდნენ და მათ ახალგაზრდებსა და საზოგადოებას უნდა მიეცეთ დასავლეთთან ურთიერთობებისა და კონტაქტების საშუალება. რამდენად მისაღები იქნება ეს ფორმა, ეს შეიძლება საკამათო აღმოჩნდეს სოხუმისა და ცხინვალისათვის. მაგრამ თავისთავად ტენდენცია აქეთკენ და კიდევ ერთი სიგნალი, რომელიც ძალიან მკაფიოდ მივიღე, რომ უნდა აღდგეს ხალხებს შორის ურთიერთობა და ნდობა. საერთოდ, ასე გვჭირს ქართველებს, მინცდამაინც უცხომ უნდა გვითხრას, რომ გავიგოთ. როდესაც სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“ დაარსდა და ჩვენ პირველი საშშვიდობო ინიციატივები და კონცეფცია გავაჟღერეთ, ჩვენი მთავარი პოსტულატი სწორედ ეს იყო. ჩვენ არ ვეხებით პოლიტიკური სტატუსის საკითხებს, მაგრამ უნდა დავასაბუთოთ ოცწლიანი სისხლიანი კონფლიქტი და გაუაზრებელი მსხვერპლი; ჩვენ უნდა აღვადგინოთ ხალხებს შორის ურთიერთობა. ახლა, მე რატომ ვაბამ ამ საკითხს ჰილარი კლინტონის ზუსტად ასევე გაჟღერებულ მესიჯს? იმიტომ, რომ ზუსტად ასეთივე დამხვდა ევროკავშირში, მათ შორის ევროკომისიასა და ევროკავშირის საგარეო უწყებაში. იქ ერთხმად თქვეს, რომ ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ის რაზეც თქვენი საშშვიდობო ინიციატივებია დაყრდნობილი, ანუ კონკრეტულ პროექტებსა და ინიციატივებზე, ჩვენ უკვე მიმდინარე წლის 15 მაისის ანგარიშში, რეკომენდაციებში საქართველოს შესახებ თითქმის ეს ჩავწერეთ, ანუ ყველა ერთდროულად მივიდა იმ აზრამდე, რომ სეპარატისტული ამ ორი რეგიონის არაღიარების, მაგრამ მათი ჩართულობის აუცილებლობისადმი გზა აუცილებლად გადის ხალხებს შორის ურთიერთობების აღდგენაზე. ჩემთვის, პირადად, ყველაზე მთავარი ეს სიგნალი იყო, რომელიც უკვე ევროპის, ბრიუსელის შემდეგ მოვისმინე ვაშინგტონისა და კლინტონისაგან.

– ანუ ამერიკა და ევროპა, ფაქტობრივად, უკვე კარნახობენ საქართველოს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პირველ ნაბიჯებს?

– მე ასე არ ავჩქარდებოდი. მე მაინც იმ ფორმულაში ჩავჯდებოდი, რომ ისინი კვლავ განაგრძობენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არაღიარებას საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ჩართულობის აუცილებლობას. რატომ: ეს არ არის ხატოვანი და ემოციური გამონათქვამები. ვიმეორებ, დასავლეთისთვის სულ ერთი არ არის, როგორი იქნება ხვალ-ზეგ ვითარება, ანუ რამდენად მყარია მისი სტაბილურობა; რამდენად მშვიდობიანად წარიმართება პროცესები, მით უმეტეს, თუ ეს პროცესი საშშვიდობო ინტეგრაციული თვალსაზრისით წარიმართება. ამიტომაც, ჩემი აზრით, მათ წინა პლანზე უკვე წამოსწიეს ხალხებს შორის ურთიერთობების ნდობის აღდგენის საკითხი.

– საკამოდ წარმატებულად შეფასდა თქვენი ევროპული ტურნე. შეგიძლიათ თქვათ, რომ გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს ევროპა ქართულ მხარესთან ერთად აფხაზებთან დაახლოების კუთხით?

– მე პირდაპირ გეტყვით, რომ ჩვენი ორგანიზაციის საშშვიდობო კონცეფცია და საშშვიდობო ინიციატივები, საშშვიდობო პლატფორმა შემდგომი ინტეგრაციისთვის ევროპამ აღიარა და მას მხარი მოლიანად დაუჭირა. უფრო კონკრეტულად, ევროპამ ეს სამოქალაქო საშშვიდობო მოძრაობა აღიარა, როგორც დასავლეთის ნაწილი, რომელიც გამოიხატა უკვე ჩვენს გლობალურ ფორუმებში ჩვენს სრულუფლებიან წევრებად მიპატიჟებით, ჩვენი გრძელვადიანი ხელშეკრულებებით მთელ რიგ ორგანიზაციებთან. მეორე მხრივ, იყო მხარდაჭერა იმ თვალსაზრისით, რომ ყველა სტრუქტურაში მკაფიოდ ითქვა, რომ სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“ იქნება მედიაცია, შუამავალი სოხუმსა და ევროპას, ცხინვალსა და ევროპას შორის. ეს არის უზარმაზარი მონაპოვარი. ეს არის სწორედ თქვენი შეკითხვის ის პრაქტიკული ნაბიჯი, რომ სწორედ ამ საშშვიდობო ინიციატივებით განხორციელდება უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და აკადემიური პროექტები, მათ შორის ევროპული ინფესტიციების მოზიდვა და დაინტერესება აფხაზეთითა და ცხინვალით, ადამიანების თავისუფალი გადაადგილების და სოციალური პროექტების განხორციელებისათვის.

– თქვენი აზრით, ცხინვალი და სოხუმი ევროპის მიერ მხარდაჭერილ ამ ინიციატივებს მიიღებს?

– მე უკვე გავუგზავნე სოხუმს მთელი პაკეტი ამ ორკვირიანი ევროპული ტურნეს ყოველი შეხვედრის კომუნიკესი, შეთანხმებებისა და იმ შესაძლებლობებისა, რომლებსაც უკვე ჩვენ ვთავაზობთ სოხუმსა და მთელი აფხაზეთის მოსახლეობას შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. რაც შეეხება ცხინვალს, აქ ჩვენს მოძრაობას გარკვეული სირთულეები აქვს ერთი მიზეზის გამო. იცით, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქ პერმანენტულად მიმდინარეობდა საპრეზიდენტო არჩევნები, შესაბამისად, იყო პოლიტიკური დაპირისპირება. ამიტომ ჩვენ არ ვიჩქარეთ ცხინვალთან ისეთი ტიპის ურთიერთობების დალაგება, როგორც ლაგდები სოხუმის მიმართულებით. ეს, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნება ჩემი მოსკოვური ვიზიტის შემდეგ.

კაკაბაძე ფართომასშტაბიან ამნისტიას ითხოვს

შორენა კოწოწაშვილი

ნანა კაკაბაძე

რევოლუციური ხელისუფლების მთავარი მონაპოვარი – დემოკრატიული და ევროპული დონის ციხეები – შეკლას ითხოვს. მართალია, ხათუნა კალმახელიძე არ აღიარებს, რომ მის სისტემაში საკმაოდ სერიოზული დარღვევებია და ქართული ციხეები ძალიან შორს არის ევროპულისაგან, მაგრამ, იმ უმძიმესი ფაქტების ფონზე, რომლებსაც კალმახელიძის ხელქვეითეების მხრიდან აქვს ადგილი, საქართველო მოწინავე ქვეყნებს შორისაა როგორც პატიმართა რაოდენობის, ისე მათი სიკვდილიანობის კუთხით.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი ნანა კაკაბაძე ფიქრობს, რომ ამ ფონზე ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა.

– სასამართლოში არსებული პრობლემების გამო ციხეში უამრავი ადამიანი აღმოჩნდა. არიან პატიმრები, რომლებსაც არაადეკვატური მსჯავრი აქვთ მისჯილი. ისეთ არადემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, როგორებც აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსიაა, პატიმრების რაოდენობა 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საქართველოში, – აცხადებს ნანა კაკაბაძე, რომელიც აუცილებლობად მიიჩნევს, ხელისუფლებამ მცირე დანაშაულის მქონე პატიმრებისათვის ფართომასშტაბიან ამნისტიაზე იფიქროს.

ქდმ სასჯელაღსრულების სამინისტროს გულგრილობაში ადანაშაულებს

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ ბაკურიძე სასჯელაღსრულების სამინისტროს გულგრილობაში ადანაშაულებს.

იგი საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს და პატიმარ ზურაბ დელიანიძის გარდაცვალების ფაქტის გამოძიებას მოითხოვს.

მიმდინარე წლის 1 მაისს, გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ქობულეთელი, 39 წლის ზურაბ დელიანიძე გარდაიცვალა.

ოჯახის წევრები ვარაუდობდნენ, რომ პატიმარი წამების შედეგად იქნა მოკლული, თუმცა, დამოუკიდებელმა ექსპერტმა დაადგინა, რომ დელიანიძეს სხეულზე დაზიანებები ნაწოლებისგან ჰქონდა. გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში, სასჯელაღსრულების სამინისტრომ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმად, პატიმარი ვენერიული დაავადების გამო გარდაიცვალა.

„ნიუსპრესის“ ბათუმის ბიუროს კორესპონდენტმა გარდაცვლილის მეუღლემ ქეთინო დელიანიძემ განუცხადა, რომ გამოძება უკვე დაწყებულია, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა იგი დაკითხეს.

თამაზ ბაკურიძე მიიჩნევს, რომ პატიმარს ციხეში არასათანადოდ უვლიდნენ, იგი გულგრილობასა და უყურადღებობაში მინისტრს ხათუნა კალმახელიძეს ადანაშაულებს. ბაკურიძის თქმით, კალმახელიძის მინისტრობის დროს ციხეებში პატიმართა გარდაცვალების ფაქტებმა იმატა.

მისივე ინფორმაციით, საქართველოში არსებული18 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, 2 ათასი პატიმარი სიკვდილის პირასაა.

ნიუსპრესი

სოსო ცისკარიშვილი: ხელისუფლება ბევრ უკადრებელს იკადრებს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან

— იფრინეთ 35 ლარიანი თვითმფრინავის ბილეთითა... გაგითიშავთ მე-9 არხს, არ მოგასმენინებთ რადიოს სამართლუტო ტალღებში... რა ხდება, ბატონო სოსო, რომელ ეპოქაში ვცხოვრობთ?

— მე მგონი, საქართველოში დაიწყო ახალი, პოსტკლინტონური ეპოქა. რამდენიმე კვირა იყო მცდელობა, რომ კეთილშობილი სახით წარმოჩენილიყო ჩვენი ხელისუფლება. თუმცა ვერ გაუძლო ნაციონალური მოძრაობის ძლიერთა გუნდმა ასეთ რეჟიმს და როგორც კი მოსწყდა ქართულ მიწას ქალბატონი კლინტონის თვითმფრინავი, იმ წამს დაიწყო საქართველოსთვის არცთუ უცხო რეჟიმში



გაგრძელება საკალაბაძეს ინკუპატორი. ამრავლებს ამ მოდგმას იმისთვის, რომ არანაირი თანაასწორობა კონკურენციაში არ იქნას დაშვებული. ის გაავებული ბრძოლა მედიასაშუალებებთან, რომლის თაობაზეც სულ ენადაშაქრულნი საუბრობდნენ კლინტონის აქ ყოფნისას და მის ჩამოსვლამდეც, აღმოჩნდა მორიგი მითი. რადგან ძირითადი იდეოლოგია ნაციმძლრაობის გახლავთ არა რომელიმე ნაციონალური აზროვნების მქონე თეორიტიკოსი, არამედ ყველასთვის ცნობილი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. დიახ, როდესაც ნორჩი ლენინელები მართავენ ქვეყანას, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს დამოკიდებულება სიტყვის თავისუფლების მიმართ. ვლადიმერ ილიჩი ბრძანებდა: „სიტყვის თავისუფლება?“ და თვითონვე პასუხობდა: „ჩვენ არ ვაპირებთ დავსარულოთ თვითმკვლელობით!“ ზუსტად ასევეა, ნაციონალური მოძრაობა თვითმკვლელობად აღიქვამს რაიმე დათმობას სიტყვის თავისუფლების დაშვებად ქვეყანაში. ამიტომ, რა სადღეგრძელოებითაც არ უნდა შეაპკოს ბატონმა პრეზიდენტმა ამერიკის სახელმწიფო მდივანი, ვერ ამოაგდებინებს მას მეხსიერებიდან ის რეალობას, რომელშიც ის აღმოჩნდა საქართველოში ყოფნისას. ასეევ ვერ მოიძულებს იმ ამერიკულ წყაროებს, რომლებიც მას სრულიად საწინააღმდეგოში არწმუნებენ. კარგია კონცერტი, კარგია მასპინძლობა, კარგია ცეკვა-თამაში... მოხარული ვარ, რომ ღირსეულად მიიღეს ქალბატონი კლინტონი და აჩვენეს შესაბამისი ხელოვნების ნიმუშები, მაგრამ ნურავინ ჩათვლის, რომ ქალბატონი კლინტონის მეხსიერებაში საქართველო, როგორც სახელმწიფო, ამით ამოიშალა და არანაირი დაკვირვების სურვილი ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე აღარ ექნება.

— შეეცადნენ, რომ ლამაზ ფერებში წარმოეჩინათ ყველაფერი...

— კი ბატონო, როდესაც ჩადიხარ მადრიდში, დაათვალიერებ პრადოს მუზეუმს, სულაც არ გახსენდება, რომ იქ ფრანკოს დიქტატურა იყო რამდენიმე ასეული წლის წინ. არ შეიძლება. საქართველოს პრობლემა არ არის საკაკაშვილი. საქართველოს პრობლემა არის ამერიკული დიქტატი, რომელიც საქართველოს ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და კულტურაზეა დღეს დამყარებული. აი, ამ დიქტატისგან არის აუცილებელი გათავისუფლება. ერთი გუბერნატორი თუ შეიცვლება მეორით, ამით ნამდვილად არაფერი შეიცვლება საქართველოსთვის.

— ბატონო კახა, კლინტონს შეხვდა ოპოზიციის გარკვეული ნაწილი. რატომ არ იყავით მათ შორის თქვენც?

— იმიტომ რომ ამერიკის შეერთებული შტატები სინამდვილეში სულაც არ სცემს პატივს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და მათ შეარჩიეს მხოლოდ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებისგანაც მიიღებდნენ მხოლოდ კვერის დაკვრას თავიანთ პოზიციებზე, რომ საქართველო უნდა გაწვრიანდეს ნატოში, რა კარგია ამერიკის შეერთებული შტატები, რომ ამერიკა არის საქართველოს მთავარი პარტნიორი და ასე შემდეგ. მათ არ უნდათ კრიტიკული მოსაზრებების მოსმენა. მათ არ უნდათ იმისი მოსმენა, რომ ქართველ საზოგადოებაში არის მზარდი ღუსტრაცია და ინდიფერენტიზმი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მიმართ, რომ ჯონ ბასის განცხადება 26 მაისს არ იქნა მოწონებული ქართველი საზოგადოების უმრავლესობის მიერ და ასე შემდეგ. საკაკაშვილს დაუსვეს შეკითხვა, აპირებს თუ არა, გახდეს პრემიერ-მინისტრი, თუმცა მან ამ კითხვას პასუხი არ გასცა. ძალიან კარგი იქნებოდა, ეს შეკითხვა თვითონ ჰილარი კლინტონს რომ დაესვა. ჟურნალისტის კითხვაზე საკაკაშვილის პასუხი იყო ორაზროვანი და ჰილარი კლინტონი ამაზე არ აღშფოთებულა.

— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება შეცვალოს საკაკაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ვანო მერაბიშვილმა თუ არავის დაუთმობს პრემიერის სავარძელს?

— სახელებსა და გვარებზე რომ არ ვიმარჩიელთო, პრეზიდენტის პოსტს, ალბათ, დაიკავებს ვინმე ბაქრაძის მსგავსი პიროვნება, რომელიც იქნება სოლიდური გარესამყაროსათვის, მაგრამ ყოველგვარ გავლენას მოკლებული – ქვეყნის შიგნით. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის პოსტს, საკაკაშვილი დაიკავებს თუ მერაბიშვილი, ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად არის დატოვებული და ეს საკითხი დამოკიდებულია იმ ვითარებაზე, რომელიც შეიქმნება საქართველოში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში. თუ საქართველოში იქნება ის ვითარება, რომელიც დღეს არის და ხელისუფლების სრული კონტროლი, მე ვფიქრობ, საკაკშვილი არ მოერიდება და თავად დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს. თუ იქნება საქართველოში დიდი ოპოზიციური მოძრაობა და ქვეყნის გარედანაც გარკვეული ინტერესი საქართველოს მიმართ, მაშინ მან შეიძლება გარკვეული მოკლე პერიოდით არჩიოს ჩრდილში ყოფნა.

— ნაციონალურ მოძრაობაში დიდი სამზადისია დანყებული არჩევნებისთვის, მიმდინარეობს სიების გადახალისება. ბევრი ახალი სახე ეყოლებათო და მათ შორის საუბარია გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილზე...

— ეგ ინფორმაცია ჩემთვისაც არის ცნობილი. ნაციონალური მოძრაობა აკეთებს ყველაფერს სწორად თავისი პოზიციიდან გამომდინარე. ისინი ემზადებიან, რომ ადმინისტრაციული ხმების სრული მობილიზაციით 50% მოაგროვონ. ძალიან სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით, „თავისუფალი საქართველოს“ გარდა, მე ვერ ვხედავ სხვა პარტიას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ის საფრთხე, რომელიც 2012 წლის არჩევნებს მოაქვს. ძირითადად მე ვხედავ უზრუნველ განცხადებებს, რომ ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი დაგეგმილია, ყველაფერი გათვლილია, რომ ოპოზიციის გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ვითარების ადეკვატური აღქმაა.

— ვერ აცნობიერებენ თუ არ აცნობიერებენ?

— ნაწილი – ვერ და ნაწილი – არ.

კახა კუკავა: ამერიკა საკაკაშვილს ვერ შეელევა“

დანარჩენი ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით, როილებიც მიიჩნევენ, რომ კლინტონის ვიზიტს დადებით შედეგები მოჰყვება, აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია აქვს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას. ის თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ კონკრეტული განცხადებები არ გაკეთდებოდა და არც სააკაშვილს უსაყვედურებდა ვინმე არადემოკრატიულობის გამო.

— ამ ხალხს არ ესმის, რომ ამერიკა არ აპირებს საკაკშვილისა და მისი ძალის ახალი ძალით ჩანაცვლებას. ყველაზე დიდი, საპარლამენტო მანდატები დაურიგონ ოპოზიციის ნაწილს. ამით კი რა შეიცვლება? — აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კახა კუკავა.

ნონა ცაბაძე

კახა კუკავა:

— ჩვენ ნამდვილად არ მივეკუთვნებით მათ რიცხვს, ვისაც ეგონა, რომ ამ ვიზიტს პოზიტიური შედეგი ექნებოდა. არაერთხელ განგაცხადებია, რომ არ უნდა ველოდოთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დემოკრატიული პროცესის მხარდაჭერას. ამერიკის შეერთებული შტატები არის მეტროპოლია საქართველოსთან მიმართებით და საქართველო არის კოლონია. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, რომ მეტროპოლიას კოლონიაში დემოკრატიული პროცესებისადმი მხარი დაეჭირა. პირიქით, ჩვენ უნდა გვესმოდეს ძალიან კარგად და ეს ჩემთვის არაერთხელ უთქვამს ამერიკის ყოფილ ელჩ ჯონ ტეფტს, ალბათ, იმავე პოზიციაზეა დღევანდელი ელჩიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მისაღებია ერთმმართველობა საქართველოში, ვინაიდან ეს უფრო მეტ გარანტიებს აძლევს მათ საქართველოსთან თანამშრომლობისას და ასევე – უფრო მეტ კონტროლს.

— ე.ი. არ ელით, რომ მის ვიზიტს შესაძლოა ქვეყნისთვის დადებითი შედეგები მოჰყვეს?

— არა, პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ის განცხადებები, რომლებიც გაკეთდა მის მიერ საქართველოში დემოკრატიულ პროცესებთან დაკავშირებით, კარგად აჩვენებს, რომ რაიმე შეშფოთება ამერიკის მთავრობას არ გამოუხატავს. საერთოდ არ უხსენებიათ საქართველოში ან საარჩევნო კოდექსის, ან რაიმე სხვა საკითხებში, თუნდაც მედიაგარემოში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

— რატომ, ხომ განაცხადა, რომ უნდა ჩატარდეს დემოკრატიული და კონკურენტუნარიანი არჩევნები...

— ზოგადად ასეთი განცხადებები კეთდებოდა მაშინაც, როდესაც შევარდნაძე და მხედრიონი ატარებდნენ ამ ქვეყანაში არჩევნებს. ეს არის სტანდარტული განცხადებები, რომლებსაც არანაირი ზეგავლენა არა აქვს რეალობაზე.

— თქვენი აზრით, რა იყო მისი ვიზიტის ძირითადი მიზანი?

— ეს ევროპული ტურნე იყო და, როგორც ამბობენ, ძირითადად ირანის საკითხს მიეძღვნა. რაიმე პირდაპირი და უშუალო შეხება მას საქართველოსთან არც ჰქონია. საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ გააკეთა საკმაოდ ორაზროვანი განცხადებები და არ გამორიცხა ის შესაძლებლობა, რომ საქართველოს ტერიტორია გამოყენებული იქნებოდა ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ძირითადი განხილვის თემა სწორედ ეს საკითხი იყო?

— რასაკვირველია, ესეც. მე ვიცი ივანიშვილის გარემოცვისგან, რომ იქნებოდა პირადი შეხვედრა ივანიშვილსა და კლინტონს შორის. მათ ვეუბნებოდი, რომ ეს არ მოხდება. ივანიშვილის გარემოცვაში ბევრი ძალიან კარგი ადამიანია, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ, რომ ამერიკასთან თანამშრომლობა საკაკშვილის ჩანაცვლების საუკეთესო გზაა. მე მათ ვეუბნები, რომ ისინი არც ერთ შემთხვევაში თავიანთ პილატს არ ჩანაცვლებენ. მაქსიმუმ, რასაც მისცემენ ერთგულებისათვის პოლიტიკურ პარტიებს, ეს იქნება საპარლამენტო მანდატები. თავიანთ გუბერნატორს კი ისინი არ შეცვლიან. მე მგონი, ამ ვიზიტმა ესეც დაადასტურა, როდესაც კლინტონმა ივანიშვილთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. სხვათა შორის, ყველაზე დიდ ამერიკულ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ ზუსტად ამ სათაურით არის სტატია გამოქვეყნებული, რომ კლინტონი შეხვდა საკაკშვილს და არ შეხვდა ივანიშვილს.

— ეს იყო მესიჯი, რომ ივანიშვილის გუნდი განსაკუთრებულს არაფერს უნდა ელოდოს ამ არჩევნებისგან?

— კი, ეს აქამდეც დღესავით ნათელი იყო, დღესაც ნათელია და არჩევნების შემდეგაც ნათელი იქნება. არჩევნების შემდეგაც გაკეთდება ზუსტად იმ ტონალობის განცხადებები, როგორიც გაკეთდა დღეს, რომ არჩევნების პროცესს საქართველოში მივესალმებით, ხოლო თუ იქ იყო რაიმე ცვლილებული დარღვევები, ეს უნდა გადაწყდეს სასამართლო სისტემის ფარგლებში. შემიძლია გითხრათ, რომ ზუსტად ეს განცხადებები იქნება გაკეთებული არჩევნების შემდეგ. ამ პროცესების შედარება 2003 წელთან შეუძლებელია, იმიტომ რომ 2003 წელს, როდესაც საქართველოში ჯეიმს ბეიკერი ჩამოვიდა, მან ძალიან კონკრეტულად თქვა, რომ საარჩევნო კომისიებში ხელისუფლებას უნდა ჰყავდეს – ხუთი, ხოლო ოპოზიციას ექვსი წევრი. აი, ეს იყო მაშინ ძალიან ნათელი დადასტურება იმისა, რომ შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო საქართველოში ხელისუფლების ცვლილებით. ახლა არც ერთი კონკრეტული განცხადება არც ერთ საკითხზე არ გაკეთებულა.

— მაშინ გამოდის, რომ საშველი არ არის, ბატონო კახა.

— საშველი როგორ არ არის. საშველი არის საქართველოს ეროვნულ– გამათავისუფლებელ მოძრაობაში და არა იმაში, რომ დამპყრობლის კარზე ვეძიოთ საქართველოს ბედნიერება. ეს წარუმატებლად მთავრდებოდა, როცა მოსკოვში ეძებდნენ ქართველები საქართველოს გათავისუფლების გასაღებს. მანამდე გახსოვთ თქვენ, მთელი ჩვენი შუა საუკუნეების ისტორია არის, რომ ირანის შაჰის კარზე მდიოდნენ, მათ შორის დიდი პატრიოტებიც. გიორგი საკაძის ისტორიაც არის იმავეს დადასტურება, რომ რაც გინდა კეთილი განზრახვებით შეეცადო დამპყრობლის საშუალებით დამპყრობლისაგან გათავისუფლებას, ეს ნონსენსია. როგორც ის არ განხორციელდა მაშინ, ისე ეს არ განხორციელდება. საქართველოს პრობლემა არ არის საკაკშვილი. საქართველოს პრობლემა არის ამერიკული დიქტატი, რომელიც საქართველოს ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და კულტურაზეა დღეს დამყარებული. აი, ამ დიქტატისგან არის აუცილებელი გათავისუფლება. ერთი გუბერნატორი თუ შეიცვლება მეორით, ამით ნამდვილად არაფერი შეიცვლება საქართველოსთვის.

— ბატონო კახა, კლინტონს შეხვდა ოპოზიციის გარკვეული ნაწილი. რატომ არ იყავით მათ შორის თქვენც?

— იმიტომ რომ ამერიკის შეერთებული შტატები სინამდვილეში სულაც არ სცემს პატივს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და მათ შეარჩიეს მხოლოდ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებისგანაც მიიღებდნენ მხოლოდ კვერის დაკვრას თავიანთ პოზიციებზე, რომ საქართველო უნდა გაწვრიანდეს ნატოში, რა კარგია ამერიკის შეერთებული შტატები, რომ ამერიკა არის საქართველოს მთავარი პარტნიორი და ასე შემდეგ. მათ არ უნდათ კრიტიკული მოსაზრებების მოსმენა. მათ არ უნდათ იმისი მოსმენა, რომ ქართველ საზოგადოებაში არის მზარდი ღუსტრაცია და ინდიფერენტიზმი ქართულ-ამერიკული ურთიერთობების მიმართ, რომ ჯონ ბასის განცხადება 26 მაისს არ იქნა მოწონებული ქართველი საზოგადოების უმრავლესობის მიერ და ასე შემდეგ. საკაკაშვილს დაუსვეს შეკითხვა, აპირებს თუ არა, გახდეს პრემიერ-მინისტრი, თუმცა მან ამ კითხვას პასუხი არ გასცა. ძალიან კარგი იქნებოდა, ეს შეკითხვა თვითონ ჰილარი კლინტონს რომ დაესვა. ჟურნალისტის კითხვაზე საკაკშვილის პასუხი იყო ორაზროვანი და ჰილარი კლინტონი ამაზე არ აღშფოთებულა.

— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება შეცვალოს საკაკაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ვანო მერაბიშვილმა თუ არავის დაუთმობს პრემიერის სავარძელს?

— სახელებსა და გვარებზე რომ არ ვიმარჩიელთო, პრეზიდენტის პოსტს, ალბათ, დაიკავებს ვინმე ბაქრაძის მსგავსი პიროვნება, რომელიც იქნება სოლიდური გარესამყაროსათვის, მაგრამ ყოველგვარ გავლენას მოკლებული – ქვეყნის შიგნით. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის პოსტს, საკაკაშვილი დაიკავებს თუ მერაბიშვილი, ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად არის დატოვებული და ეს საკითხი დამოკიდებულია იმ ვითარებაზე, რომელიც შეიქმნება საქართველოში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში. თუ საქართველოში იქნება ის ვითარება, რომელიც დღეს არის და ხელისუფლების სრული კონტროლი, მე ვფიქრობ, საკაკშვილი არ მოერიდება და თავად დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს. თუ იქნება საქართველოში დიდი ოპოზიციური მოძრაობა და ქვეყნის გარედანაც გარკვეული ინტერესი საქართველოს მიმართ, მაშინ მან შეიძლება გარკვეული მოკლე პერიოდით არჩიოს ჩრდილში ყოფნა.

— ნაციონალურ მოძრაობაში დიდი სამზადისია დანყებული არჩევნებისთვის, მიმდინარეობს სიების გადახალისება. ბევრი ახალი სახე ეყოლებათო და მათ შორის საუბარია გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილზე...

— ეგ ინფორმაცია ჩემთვისაც არის ცნობილი. ნაციონალური მოძრაობა აკეთებს ყველაფერს სწორად თავისი პოზიციიდან გამომდინარე. ისინი ემზადებიან, რომ ადმინისტრაციული ხმების სრული მობილიზაციით 50% მოაგროვონ. ძალიან სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით, „თავისუფალი საქართველოს“ გარდა, მე ვერ ვხედავ სხვა პარტიას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ის საფრთხე, რომელიც 2012 წლის არჩევნებს მოაქვს. ძირითადად მე ვხედავ უზრუნველ განცხადებებს, რომ ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი დაგეგმილია, ყველაფერი გათვლილია, რომ ოპოზიციის გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. მე არ ვფიქრობ, რომ ეს ვითარების ადეკვატური აღქმაა.

— ვერ აცნობიერებენ თუ არ აცნობიერებენ?

— ნაწილი – ვერ და ნაწილი – არ.

აფხაზეთი ევროსუფლასთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას აპირებს

აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აფხაზეთი ევროსუფლასთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას აპირებს

„ასსნი პრესსის“ ინფორმაციით, 20-28 მაისის ჩათვლით ევროსუფლაში ოფიციალური ვიზიტით აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ხინტბა და ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის განყოფილების ე.წ. ხელმძღვანელი ადგურ ჩეგია იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში ევროსუფლასა და აფხაზეთის შორის ურთიერთობების გარღვევებისა და გაფართოვების საკითხები განიხილებოდა. ირაკლი ხინტბას განცხადებით, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება უახლოეს მომავალში ევროსუფლასთან უვიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას აპირებს.

„ევროსუფლა ძალიან მიმზიდველი ქვეყნაა. ჩვენს მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ ევროსუფლაში გაემგზავრონ, როგორც ტურისტებად, ასევე უფასოდ ისწავლონ ქვეყნის უნივერსიტეტებში, შეისწავლონ ესპანური ენა და გაეცნონ ლათინური ამერიკის ცივილიზაციას“ – განაცხადა ირაკლი ხინტბამ.

მისი თქმით, აფხაზეთი ევროსუფლასთან ბიზნესის და ჯანდაცვის სფეროშიც ითანამშრომლებს.

ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ აფხაზეთის მიმართ კეთილგანწყობილ ქვეყანათა რაოდენობა არც ისე ცოტაა და აფხაზეთის მოსახლეობა კონკრეტულ შედეგს მალე დაინახავს.

მედიანიუსი

ნინო ქათამაძეს კონცერტი გააუქმა

ეკა ირემაშვილი

ქართველმა მომღერალმა, ნინო ქათამაძემ, კალინინგრადში დაგეგმილი კონცერტი გააუქმა. გადაწყვეტილება შეცვალა მომღერალმა ევრო 2012-ზე დაგეგმილ კონცერტთან დაკავშირებითაც. უკვე ცნობილი გახდა, რომ ნინო ქათამაძე არ ჩავა ხარკოვში და არ გამართავს კონცერტს ხარკოვის თავისუფლების მოედანზე. ამის შესახებ ხარკოვში ევრო 2012-ის ფან-ზონის რეჟისორმა ოლეგ კატკოვმა ოფიციალურად განაცხადა.

ნინო ქათამაძე უკრაინას ეწვევა და 20 ივნისს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე, ერთ-ერთ ოფიციალურ ფან-ზონაში კიევში იმღერებს.

ჩემპიონატის განმავლობაში დაგეგმილ კონცერტებში მონაწილეობას იღებენ ბრიტანელი შემსრულებელი ფეტბოი სლიმი, რეპერი პიტბული, პოპულარული დიჯეები არმინ ვან ბიურენი და ჯგუფ „ბლექ აიედ ფისის“ წევრი თაბუ, უკრაინული ჯგუფები „ტე ენ ეს კა“, „გორჩიცა ლაივ პროჯექტი“, „ბუმბოქსი“, რუსული ჯგუფი „განაქტიკა“, მომღერლები ნატალია სამსონოვა, მანაშა, მაშა გოია და ფოლკლორული ანსამბლი „სლობოჟანსკიე კაზაკი“.

როგორც უკვე ვრცელდება ინფორმაცია, კიევში კონცერტს გამართავენ ჯგუფი „ქვინი“ და სერ ელტონ ჯონი, თუმცა, ვარკვლავებს ჯერჯერობით საბოლოო თანხმობა არ განუცხადებიათ და არც კონცერტების ზუსტი თარიღებია ცნობილი. ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში წელს პოლონეთსა და უკრაინაში გაიმართება. ტურნირი 8 ივნისს დაიწყება და 1 ივლისს დასრულდება.

ნინო ქათამაძე კიევამდე ამ კვირის უქმეებს რუსეთში გაატარებს. ქართველი მომღერალი მონაწილეობას მიიღებს მოსკოვში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში „ხვალ“, რომელსაც 9 ივნისს მოსკოვის მწვანე თეატრი უმასპინძლებს, ხოლო 10 ივნისს კი იგივე ფესტივალი სანკტ-პეტერბურგში გადაინაცვლებს, სადაც ნინო ქათამაძე და ჯგუფი „ინსაიათი“ მსმენელის წინაშე ძველი და ახალი მუსიკალური კომპოზიციებით წარსდგება.

ქართველი მსმენელის წინაშე ნინო ქათამაძე თავის ჯგუფთან ერთად ივლისის თვეში ფესტივალ „არტ გენის“ ფარგლებში იმღერებს, სადაც ღია ცის ქვეშ ერთგული ფანებისთვის დაუვიწყარ საღამოს გამართავს.

ქსოვრელები“ გრიბოედოვის თეატრში იმღერებენ

ეკა ირემაშვილი

მედუდუკეთა ანსამბლი „ქსოვრელები“ 8 ივნისს ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დიდ დარბაზში თავის ერთგულ მსმენელს შეკრებენ და სპეციალურად მათთვის კონცერტსაც გამართავენ.

როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა ედგარ შოშიტაშვილმა გვითხრა, გრიგოლ ქსოვრელმა მედუდუკეთა ანსამბლი „სოინარი“ 1960 წელს შექმნა. ანსამბლს თავისი ქალაქური, ტრადიციული საშემსრულებლო მანერით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირა. აღსანიშნავია, რომ ანსამბლმა შეინარჩუნა და მისმავალ თაობებს გადასცა ქართულ ტრადიციულ საკრავზე, დუდუუზე შესრულების ხელოვნება.

დღეს ანსამბლს ჰქვია „ქსოვრელები“ და მისი ხელმძღვანელი და ტრადიციების გამგრძელებელი არის გიორგი-ედგარ შოშიტაშვილი. კონცერტი ობილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით გაიმართება და მსმენელი როგორც ძველ, ასევე ახალ სიმღერებსაც მოისმენს.

ედგარ შოშიტაშვილი, ანსამბლის ხელმძღვანელი:

– უწყვეტი რეპეტიციები უკვე დავასრულეთ. ახლა მსმენელთან შესახვედრად ვემზადებით. მაყურებელს ვთავაზობთ ბევრ კარგ სიმღერას და ჩვენი ანსამბლის ახალ თაობასაც წარვუდგენთ.

– ბევრნი არიან?

– 10-12 ახალგაზრდა გვყავს ანსამბლში და მათაც დავუთმობთ სცენას. ჩვენნაირი ანსამბლისთვის ეს ცოტა სულაც არ არის.

– როგორია საკონცერტო რეპერტუარი?

– ძველ სიმღერებსაც შევასრულებთ და, რა თქმა უნდა, ახლებსაც. გვაქვს „ტოროლა“ და კიდევ სხვა ახალი სიმღერები.

– „ჯაკლის მურაბას“ არ შეასრულებთ?

– ვნახოთ, ვიმღერებ ალბათ.

– კონცერტისთვის გრიბოედოვის თეატრი რატომ შეარჩიეთ?

– რეკლამები ვერ წავიდა დროზე თუ რაღაც, ზუსტად არ ვიცი. ჩვენ ადრეც გვქონდა დაგეგმილი კონცერტი და გადავდეთ. ახლა უკვე გრიბოედოვში გადავწყვიტეთ კონცერტის ჩატარება.

– ხომ არ ნერვიულობთ?

– არა, უბრალოდ, დავიღალე, სულ რეპეტიციებია, პასუხისმგებლობაც დიდია და მოლოდინიც გვაღელვებს.

ნიკოლოზ რურუამ გამარჯვებულები დაჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ „ლიტერატურული გაზეთის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში „კრიტიკა, ესეისტიკა, პუბლიცისტიკა“ გამარჯვებულები სამინისტროში გამოაცხადა და დაჯილდოვა. კონკურსის პირობებს თანახმად, მონაწილეობის მიღება წელს ნებისმიერ მსურველს შეეძლო. მთლიანობაში კონკურსის მსჯელობასას საორგანიზაციო კომიტეტში სულ 40-მდე საკონკურსო ნაშუშეკარი შევიდა.

5 კაცისგან ჟიურიმ სამი გამარჯვებული გამოავლინა. პირველი ადგილი მიენიჭა ივანე ამირხანაშვილს პუბლიცისტური წერილით „ვეფხვერნიზაციის ცხადი სიზმრები“, მეორე ადგილი – მაია ჯალიაშვილს ლიტერატურული ნარკვევისთვის „ზნეობის გარდამოხსნა“, ხოლო მესამე ადგილი – დავით ქარდავას ესეისთვის „მტკვარი და მისი არქიპელაგი“. გამარჯვებულებს დიპლომებთან ერთად ფულადი ჯილდოც გადაეცათ. პირველი ადგილის მფლობელს 1000 ლარი ერგო, მეორე ადგილის მფლობელს – 800 ლარი, ხოლო მესამე ადგილის მფლობელს – 600 ლარი.

– „ლიტერატურული გაზეთი“ ორი წლის მანძილზე მართავდა „ერთი მოთხრობის კონკურსს“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით დაარსდა. კონკურსში 18-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მწერლები იღებდნენ მონაწილეობას და მისი მიზანი ახალბედა პროზაიკოსებისა და მათი ნაწარმოებების პოპულარიზაცია იყო. წელს კი „ლიტერატურულმა გაზეთმა“ ისევ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანადგომით ახალი ლიტერატურული კონკურსი გამოაცხადა. ლიტერატურული მარათონი ამჯერად საუკეთესო ესსეს, კრიტიკული თუ პუბლიცისტური წერილების გამოვლენას ისახავდა მიზნად. წელს გამოცხადებული კონკურსი არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს ინიციატივა მინდა დავასახელო როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო ინიციატივა, რადგან კრიტიკის გარეშე არც ერთი დარგი არ ვითარდება. რა თქმა უნდა, საჭიროა ჯანსაღი კრიტიკა, რადგან ის ავითარებს მუსიკას, კინოს, თეატრს. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა, ყველა იმ კრიტიკოსს, ვინც წლების განმავლობაში უანგაროდ მოიტანა ეს სკოლა ჩვენამდე, სკოლა კრიტიკისა, ესეისტიკისა თუ პუბლიცისტიკისა. ჩემთვის ნამდვილად სასიხარულოა, რომ ეს კონკურსი დაარსეს. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსები გვყავს, ახალგაზრდების გარეშე ქართულ კრიტიკას მომავალი არ ექნება. ნებისმიერი კარგი ანალიზი, ნაშრომის გარჩევა არის იმის წინაპირობა, რომ ასეთი რაღაც მომავალშიც შეიქმნას. კრიტიკა არ არის მხოლოდ ლანძღვა-გინება. ეს არის დაფასება, განსჯა და იმ ყურადღების ყველაზე დიდი გამოვლინება, რაც ნაშრომმა დაიმსახურა, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

როგორც დაჯილდოების ცერემონიალზე გახდა ცნობილი, სამივე გამარჯვებულის ნამუშევრები „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდება. კონკურსი წელს პირველად „ლიტერატურული გაზეთის“ ინიციატივითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი ასაკის მსურველებს შეეძლოთ.

– ეს ჯილდო, შესაძლებელია, მიეღო ჩემზე უფრო ჭკვიანს, ნიჭიერს და ახალგაზრდას, მაგრამ გამარჯვება ჩემთვის დიდი პატივია. დიდი მადლობა ორგანიზატორებს, „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციას, ჟიურის, დამსწრე საზოგადოებას. ეს არის კონკურსი, რომელმაც ლიტერატურის პრესტიჟი უნდა ანიოს. ეს კონკურსი ჩემთვის იმით იყო საინტერესო, რომ საკუთარი ძალები გამოვცადე, თან ჩემი ნაფიერი გამოვიტანე საზოგადოების წინაშე. ჩემი ნაშრომი პუბლიცისტური წერილია, იქ მიმოხილულია საქართველოს ისტორია და მისი მომავალი, – განაცხადა პირველი პრემიის მფლობელმა ივანე ამირხანაშვილმა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ლიტერატურის ხელშეწყობაზე აქტიურად ზრუნავს. სწორედ სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით კონსტანტინე კანდელაკის ინგლისურენოვანი წიგნის „ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე“ რეპრინტის პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში შედგა.

წიგნი პირველად 1953 წელს პარიზში გამოიცა და საქართველოს ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს პერიოდებს ასახავს, როგორიცაა 1921 წელს საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია, საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყნის დატოვება, ემიგრირებულთა შემდგომი ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა სამშობლოს საზღვრებს გარეთ. წიგნში ასახული დოკუმენტური მასალა წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხთან დაკავშირებული ფაქტების, პუბლიკაციების, მაღალი ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვების, საერთაშორისო

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.

იცხოვრეთ ძმობავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცუ ფუ რ ჯ ჰ ტ რ ლ ბ პ ბ ნ ტ ბ ნ

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!%)() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR

sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-
ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2
c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8
~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC
LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB
BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

უფუნ[ფლ8,8,8

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.მ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მრ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.ობილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ემკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ვიგირავებ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან კარგად მოწყობილ ბინას. ტელ:. 298-95-47

● შევიძენ ვაკეში 2 ან 3 ოთახიან გარემონტებულ ბინას 100 000-ის ფარგლებში. ტელ:. 294-53-20

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

ამოუცნობი ჯგუფი

უკრაინა

ადგილი ფიფა-ს რეიტინგში: 50

უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია დაარსებულია 1991 წლის 13 დეკემბერს. ფიფას წევრია 1992 წლიდან, უეფასი – 1992 წლიდან.

ნაკრების ფერებია ყვითელი და ლურჯი, მეტსახელიც ყვითელ-ლურჯები.

პირველი მატჩი 1992 წლის 29 აპრილს უნგრეთთან (1:3) გამართეს.

ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება 2006 წლის 15 აგვისტოს აზერბაიჯანთან და 2009 წლის 14 ოქტომბერს ანდორასთან (6:0), ხოლო ყველაზე დიდი მარცხი 2011 წლის 6 სექტემბერს ჩეხეთთან, 2006 წლის 14 ივნისს, ესპანეთთან და 1995 წლის 14 მარტს ხორვატიასთან (0:4).

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში: ანატოლი ტიმოშუკი (115), ანდრეი შევჩენკო (106), ალექსანდრ შოვკოვსკი (92). ყველაზე მეტი გოლი: ანდრეი შევჩენკო (46), სერგეი რებროვი (15), სერგეი ნაზარენკო (12).

პროგნოზი

უკრაინა სასწაულის ელის, ეს ხომ მათი პირველი გამოსვლაა ევროპის ჩემპიონატზე, თანაც საკუთარ კედლებში. სწორედ გულშემატკივარი თუ იქნება ოლეგ ბლოხინის სამწყოს იმედი, თორემ ფეხბურთელებითა და შემადგენლობით ისე ვერ დაიკვეხნის, რომ მართლა სასწაული მოახდინოს. დღევანდელ გუნდში, ერთადერთი, ვინც აღნიშვნის ღირსია, ვეტერანი ანდრეი შევჩენკოა. თუმცა ისიც „დაბერდა“ ფეხბურთისთვის. 35 წლის ფორვარდს არაერთხელ უთქვამს, რომ წლევანდელი ჩემპიონატისთვის განსაკუთრებულად ეშზადებოდა და კარიერის დასრულებაზეც სწორედ ამ მიზნით არ ფიქრობდა. მისთვის ევრო 2012 უკანასკნელი დიდი სანაკრები ტურნირია, რადგან ბოლო ხანს ეროვნული გუნდიდან წასვლაზე ბევრს ფიქრობს და, ალბათ, ნაკრებს ჩემპიონატის შემდეგ დაეშვიდობება.

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე

11 ივნისი: უკრაინა-შვედეთი; 15 ივნისი: უკრაინა-საფრანგეთი; 19 ივნისი: ინგლისი-უკრაინა

შემადგენლობა

მეკარეები:

1.მაქსიმ კოვალი (დინამო); 12.ანდრეი პიატოვი (შახტარი); 23.ალექსანდრ ჰორიანოვი (მეტალისტი)

მცველები:

2.ევგენი სელინი (ვორსკლა); 3.ევგენი ხაჩერიდი (დინამო); 5.ალექსანდრ კუჩერი (შახტარი); 13.ვიაჩესლავ შევჩუკი (შახტარი); 17. ტარას მიხალიკი (დინამო); 20.იაროსლავ რაკიცკი (შახტარი); 21.ბოგდან ბუტკო („ილიჩივეცი“)

ნახევარმცველები:

4.ანატოლი ტიმოშუკი (ბაიერნი, გერმანია); 6.დენის გარმაში (დინამო); 8.ალექსანდრ ალიევი (დინამო); 9.ოლეგ გუსევი (დინამო); 11.ანდრეი იარმოლენკო (დინამო); 14.რუსლან რომანი (დნიპრო); 18.სერგეი ნაზარენკო (ტავრია); 19.ევგენი კინოპლიანკა (დნიპრო)

თავდამსხმელები:

7.ანდრეი შევჩენკო (დინამო); 10.ანდრეი ვორონინი (დინამო, რუსეთი); 15.არტემ მილევსკი (დინამო); 16.ევგენი სელეზნევი (შახტარი); 22.მარკო დევიჩი (შახტარი)

მთავარი მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

ინგლისი

ადგილი ფიფა-ს რეიტინგში: 6

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია დაარსებულია 1863 წელს. ფიფას წევრია 1905 წლიდან, უეფასი – 1954 წლიდან.

პირველი მატჩი 1872 წლის 30 ნოემბერს გამართეს შოტლანდიასთან (0:0). ყველაზე დიდი მოგება 1882 წლის 18 თებერვალს აქვთ ირლანდიასთან (13:0), ხოლო ყველაზე დიდი მარცხი 1954 წლის 23 მაისს უნგრეთთან დიდ გუნდთან (1:7).

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში პიტერ შილტონს (125), დევიდ ბეკჰემსა (115) და ბობი ჩარს (108) ჩაუტარებიათ, ხოლო მეგოლეები ბობი ჩარლტონი (49), გარი ლინეკერი (48) და ჯიმი გრივზი (44) არიან.

ფეხბურთის გამომგონებლებს მიღწევები მეტი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ჯერ უკადრისობდნენ სხვა ქვეყნებთან ერთად თამაშს, შემდეგ კი, ორგორც აღმოჩნდა, მათზე არანაკლებ კარგად იცოდნენ თამაში და ინგლისელებს მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო (1966) და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლი (1968) დაუთმეს.

პროგნოზი

როგორც ყველა დიდი ტურნირის წინ, ინგლისელები ახლაც ფავორიტად მოიაზრებიან. თუმცა ზუსტად ტურნირის მსვლელობისას იკვეთება ისეთი კონტურები, რომელიც მათ წარმატებას თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებს და ასე გრძელდება დაუსრულებლად. არადა, თუ ყოველთვის ჰყავს ისეთი თაობა, რომელთაც შეუძლიათ წარმატების მიღწევა, მაგრამ – ამაოდ.

როგორც ჩანს, ბრიტანელებს კონტინენტურ ფეხბურთან თამაში უჭირთ.

შეხვედრები ევროპის ჩემპიონატზე

1968

ნახევარფინალი

ინგლისი-იუგოსლავია 0:1

მატჩი მე-3 ადგილისთვის

ინგლისი-სსრკ 2:0

სულ: 2 თამაში, 1 მოგება, 1 წაგება, ბურთები 2:1, მე-3 ადგილი

1980

ჯგუფური ეტაპი

ბელგია-ინგლისი 1:1; ინგლისი-იტალია 0:1; ესპანეთი-ინგლისი 1:2

სულ: 3 თამაში, 1 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 3:3

1988

ჯგუფური ეტაპი

ინგლისი-ირლანდია 0:1; ინგლისი-ჰოლანდია 1:3; ინგლისი-სსრკ 1:3

სულ: 3 თამაში, 3 წაგება, ბურთები 2:7

1992

ჯგუფური ეტაპი

დანია-ინგლისი 0:0; საფრანგეთი-ინგლისი 0:0; შვედეთი-ინგლისი 2:1

სულ: 3 თამაში, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 1:2

1996

ჯგუფური ეტაპი

ინგლისი-შვეიცარია 1:1; შოტლანდია-ინგლისი 0:2; ჰოლანდია-ინგლისი 1:4

მეოთხედფინალი

ესპანეთი-ინგლისი 0:0 (2:4პ)

ნახევარფინალი

გერმანია-ინგლისი 1:1 (6:5პ)

სულ: 5 თამაში, 2 მოგება, 3 ფრე, ბურთები 8:3

2000

ჯგუფური ეტაპი

პორტუგალია-ინგლისი 3:2; ინგლისი-გერმანია 1:0; ინგლისი-რუმინეთი 2:3

სულ: 3 თამაში, 1 მოგება, 2 წაგება, ბურთები 5:6

2004

ჯგუფური ეტაპი

საფრანგეთი-ინგლისი 2:1; ინგლისი-შვეიცარია 3:0; ხორვატია-ინგლისი 2:4

მეოთხედფინალი

პორტუგალია-ინგლისი 2:2 (6:5პ)

სულ: 4 თამაში, 2 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 10:6

გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე

ინგლისი-ბულგარეთი 4:0; შვეიცარია-ინგლისი 1:3; ინგლისი-მონტენეგრო 0:0; უელსი-ინგლისი 0:2; ინგლისი-შვეიცარია 2:2; ბულგარეთი-ინგლისი 0:3; ინგლისი-უელსი 1:0; მონტენეგრო-ინგლისი 2:2

სულ: 8 თამაში, 5 მოგება, 3 ფრე, ბურთები 17:5, პირველი ადგილი

კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე

11 ივნისი: საფრანგეთი-ინგლისი; 15 ივნისი: შვედეთი-ინგლისი; 19 ივნისი: ინგლისი-უკრაინა

შემადგენლობა

მეკარეები:

1.ჯო ჰარტი (სიტი); 13.რობერტ გრინი (ვესტ ჰემი); 23.ჯეკ ბატლენდი (ბირმინგემი)

მცველები:

2.გლენ ჯონსონი (ლივერპული); 3.უეი კოული (ჩელსი); 5.გარი კეჰილი (ჩელსი); 6.ჯონ ტერი (ჩელსი); 12.ლეიტონ ბეინსი (ევერტონი); 14.ფილ ჯონსი (მანჩესტერი); 15.ჯოლეონ ლესკოტი (სიტი); 18.ფილ იაგიელკა (ევერტონი)

ნახევარმცველები:

4.სტივენ ჯერარდი (ლივერპული); 7.თეო უოლკოტი (არსენალი); 8.ჯორდან ჰენდერსონი (ლივერპული); 11.ეშლი იანგი (მანჩესტერი); 16.ჯეიმს მილნერი (სიტი); 17.სკოტ პარკერი (ტოტენჰემი); 19.სტიუარტ დაუნინგი (ლივერპული); 20.ალეკს ოქსლეიდ-ჩემბერლენი (არსენალი)

თავდამსხმელები:

9.ენდი კეროლი (ლივერპული); 10.უეინ რუნი (მანჩესტერი); 21.ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი); 22.დენი უელბეკი (მანჩესტერი)

მთავარი მწვრთნელი: როი ჰოჯსონი

საფრანგეთი

ადგილი ფიფა-ს რეიტინგში: 14

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსებულია 1919 წელს. საფრანგეთის სპორტის კომიტეტის სახელით ფიფას წევრია 1907 წლიდან, უეფასი – 1954 წლიდან.

პირველი მატჩი 1904 წლის 1 მაისს ბელგიასთან (3:3) გამართეს. ყველაზე დიდი მოგება 1995 წლის 6 სექტემბერს აზერბაიჯანთან (10:0) იზეიმეს, ხოლო ყველაზე დიდი მარცხი 1908 წლის 22 ოქტომბერს დანიასთან (1:17) განიცადეს.

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში ლილიან ტურამს (142), ტიერი ანრსა (123) და მარსელ დესაის (116) აქვთ ჩატარებული. გატანილი გოლების რაოდენობით კი ტიერი ანრი (51), მიშელ პლატინი (41) და დევიდ ტრეზეგე (34) ლიდერობენ.

მიღწევები საკმარისად აქვთ: მსოფლიოს ჩემპიონი (1998), მე-2 ადგილი (2006), მე-3 ადგილი (1958, 1986). ევროპის ჩემპიონი (1984, 2000)

პროგნოზი

ლორან ბლანის შეგირდები „მეორე ეშელონის“ ფავორიტებად მოიაზრებიან, ანუ შანსი აქვთ, საჩემპიონო ტიტულისთვის იბრძოლონ. პრობლემები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ჰქონდათ „სამფერეულებს“, წარსულს ჩაბარდა. ახლა გუნდი საკმარისად დაბალანსებულია, კონკრეტულად იცის, რა ამოცანები უნდა გადაჭრას და, რაც მთავარია, მოტივაციაც აქვთ – ჩემპიონობისთვის თითოეული ფეხბურთელი 320.000 ევროს მიიღებს. თუმცა ეს არ არის მთავარი – ფრანგების მიზანია რეაბილიტაცია გაუკეთონ 2010 წლის სირცხვილს, რომელიც სამხრეთ აფრიკაში ჭამეს.

მეტოქეები ჯგუფშიც რთულია: ინგლისი, მასპინძელი უკრაინა და შვედეთი. ერთია, ყველა მეტოქეს გარკვეული პრობლემები და მინუსები აქვთ. ასე რომ, ვერავინ იტყვის, რომ ფრანგებისთვის ეს ტურნირი ნაადრევად დასრულდება.

შეხვედრები ევროპის ჩემპიონატზე

1960

პირველი ეტაპი

საფრანგეთი-საბერძნეთი 7:1, 1:1

მეოთხედფინალი

საფრანგეთი-ავსტრია 5:2, 4:2

ნახევარფინალი

საფრანგეთი-იუგოსლავია 4:5

მატჩი მე-3 ადგილისთვის

ჩეხოსლოვაკია-საფრანგეთი 2:0

სულ: 6 თამაში, 3 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, 21:13

1984

ჯგუფური ეტაპი

საფრანგეთი-დანია 1:0; საფრანგეთი-ბელგია 5:0; საფრანგეთი-იუგოსლავია 3:2

ნახევარფინალი

საფრანგეთი-პორტუგალია 3:2(დდ)

ფინალი

საფრანგეთი-ესპანეთი 2:0

სულ: 5 თამაში, 5 მოგება, ბურთები 14:4, 1 ადგილი

1992

ჯგუფური ეტაპი

შვედეთი-საფრანგეთი 1:1; საფრანგეთი-ინგლისი 0:0; საფრანგეთი-დანია 1:2

სულ: 3 თამაში, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 2:3

1996

ჯგუფური ეტაპი

რუმინეთი-საფრანგეთი 0:1; საფრანგეთი-ესპანეთი 1:1; საფრანგეთი-ბულგარეთი 3:1

მეოთხედფინალი

საფრანგეთი-ჰოლანდია 0:0 (5:4პ)

ნახევარფინალი

საფრანგეთი-ჩეხეთი 0:0 (5:6პ)

სულ: 5 თამაში, 2 მოგება, 3 ფრე, ბურთები 5:2

2000

ჯგუფური ეტაპი

საფრანგეთი-დანია 3:0; ჩეხეთი-საფრანგეთი 1:2; საფრანგეთი-ჰოლანდია 2:3

მეოთხედფინალი

ესპანეთი-საფრანგეთი 1:2

ნახევარფინალი

პორტუგალია-საფრანგეთი 1:2 (დდ)

ფინალი

საფრანგეთი-იტალია 2:1

სულ: 6 თამაში, 5 მოგება, 1 წაგება, ბურთები 13:7, 1 ადგილი

2004

ჯგუფური ეტაპი

საფრანგეთი-ინგლისი 2:1; ხორვატია-საფრანგეთი 2:2; შვეიცარია-საფრანგეთი 1:3

მეოთხედფინალი

საფრანგეთი-საბერძნეთი 0:1

სულ: 4 თამაში, 2 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება, ბურთები 7:5

2008

ჯგუფური ეტაპი

რუმინეთი-საფრანგეთი 0:0; ჰოლანდია-საფრანგეთი 4:1; საფრანგეთი-იტალია 0:2

სულ: 3 თამაში, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთები 1:6

გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე

საფრანგეთი-ბელარუსი 0:1; ბოსნია-საფრანგეთი 0:2; საფრანგეთი-რუმინეთი 2:0; საფრანგეთი-ლუქსემბურგი 2:0; ლუქსემბურგი-საფრანგეთი 0:2; ბელარუსი-საფრანგეთი 1:1; ალბანეთი-საფრანგეთი 1:2; რუმინეთი-საფრანგეთი 0:0; საფრანგეთი-ალბანეთი 3:0; საფრანგეთი-ბოსნია 1:1

სულ: 10 თამაში, 6 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება, ბურთები 15:4

კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე

11 ივნისი: საფრანგეთი-ინგლისი; 15 ივნისი: უკრაინა-საფრანგეთი; 19 ივნისი: შვედეთი-საფრანგეთი

შემადგენლობა

მეკარეები:

1. უგო ლორისი (ლიონი); 16. სტივ მანდანდა (მარსელი); 23. სედრიკ კარასო (ბორდო)

მცველები:

2.მატიო დებუში (ლილი); 3.პატრის ევრა (მანჩესტერი, ინგლისი); 4.ადილ რამი (ვალენსია, ესპანეთი); 5.ფილიპ მექსე (მილანი, იტალია); 13.ენტონი რევეილერი (ლიონი); 21.ლორან კოსელნი (არსენალი, ინგლისი); 22.გაელ კლიში (სიტი, ინგლისი)

ნახევარმცველები:

6.იოან კაბაიე (ნიუკასლი, ინგლისი); 7.ფრანკ რიბერი (ბაიერნი, გერმანია); 8.მატიო ვალბუენა (მარსელი); 11.სამირ ნასრი (სიტი, ინგლისი); 12.ბლეზ მატუიდი (პსჟ); 14.ჟერემი მენესი (პსჟ); 15.ფლორან მალუდა (ჩელსი, ინგლისი); 17.იან მვილა (რენი); 18.ალუ დიარა (მარსელი); 19.მარვინ მარტინი (სოში); 20. ჰატემ ბენ არფა (ნიუკასლი, ინგლისი)

თავდამსხმელები:

9.ოლივიე ჟირუ (მონპელიე); 10.ქარიმ ბენზემა (რეალი, ესპანეთი)

მთავარი მწვრთნელი: ლორან ბლანი

შვედეთი

ადგილი ფიფა-ს რეიტინგში: 17

შვედეთის ფეხბურთის ასოციაცია დაარსებულია 1904 წელს. იმავე წელს გახდა ფიფას წევრი, ხოლო უეფასი – 1954 წელს.

ნაკრების ფერებია ყვითელი და ლურჯი, მეტსახელიც აქედან გამომდინარეობს – ლურჯ-ყვითლები.

პირველი მატჩი 1908 წლის 12 ივლისს გამართეს ნორვეგიასთან (11:3). ყველაზე დიდი მოგება 1927 წლის 29 მაისს ლატვიასთან (12:0) მიითვალეს, ხოლო ყველაზე დიდი მარცხი 1908 წლის 20 ოქტომბერს – დიდ ბრიტანეთთან (1:12).

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში ტომას რაველის (143), როლანდ ნილსონსა (116) და ბერნ ნორდკვისტი (115) უთამაშიათ, ხოლო ყველაზე მეტი გოლი სვენ რიუდელს (49), გუნარ ნორდალსა (43) და ჰენრიკ ლარსონს (37) აქვთ გატანილი.

მიღწევები, სკანდინავიურ ქვეყანასთან შეფარდებით, საკმარისად აქვთ: მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-2 ადგილი (1958), მე-3 ადგილი (1950, 1994), ოლიმპიურ თამაშების ჩემპიონი (1948), მე-2 ადგილი (1924, 1952).

პროგნოზი

ეს ჯგუფი ბ ჯგუფის შემდეგ მეორედ ითვლება სიძლიერის მხრივ. ცხადია, ეს ყველაფერი შვედების წისქვილზე არ ასხამს წყალს. ინგლისელებსა და ფრანგებს რომ თავი დავანებოთ, აქვე არიან მასპინძლები, რომლებთან თამაშიც ურთულესი იქნება. თუმცა მათ ამის შანსიც აქვთ და ისიც კარგად იციან, თუ როგორ აართვან ქულები ფეხბურთის დამაარსებლებსა და ფრანგებს. შვედების უპირატესობა, ჯგუფის სხვა გუნდებთან შედარებით, მთავარი მწვრთნელია, რომელსაც დიდი გამოცდილება უმაგრებს ზურგს. ასევე ბევრია დამოკიდებული ზლატან იბრაჰიმოვიჩზე.

შეხვედრები ევროპის ჩემპიონატზე

1992

ჯგუფური ეტაპი

შვედეთი-საფრანგეთი 1:1; შვედეთი-დანია 1:0; შვედეთი – ინგლისი 2:1

ნახევარფინალი

შვედეთი-გერმანია 2:3

სულ: 4 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 1 მარცხი, ბურთები 6:5

2000

ჯგუფური ეტაპი

ბელგია-შვედეთი 2:1; შვედეთი-თურქეთი 0:0; იტალია-შვედეთი 2:1

სულ: 3 მატჩი, 1 ფრე, 2 მარცხი, ბურთები 2:4

2004

ჯგუფური ეტაპი

შვედეთი-ბულგარეთი 5:0; იტალია-შვედეთი 1:1; დანია-შვედეთი 2:2

მეოთხედფინალი

შვედეთი-ჰოლანდია 0:0 (4:5პ)

სულ: 4 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 1 მარცხი, ბურთები 8:3

2008

ჯგუფური ეტაპი

საბერძნეთი-შვედეთი 0:2; შვედეთი-ესპანეთი 1:2; რუსეთი-შვედეთი 2:0

სულ: 3 მატჩი, 1 მოგება, 2 მარცხი, ბურთები 3:4

გზა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატამდე

შვედეთი-უნგრეთი 2:0; შვედეთი-სან მარინო 6:0; ჰოლანდია-შვედეთი 4:1; შვედეთი-მოლდოვა 2:1; მოლდოვა-შვედეთი 1:4; შვედეთი-ფინეთი 5:0; უნგრეთი-შვედეთი 2:1; სან მარინო-შვედეთი 0:5; ფინეთი-შვედეთი 1:2; შვედეთი-ჰოლანდია 3:2

კალენდარი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე

11 ივნისი: უკრაინა-შვედეთი; 15 ივნისი: შვედეთი-ინგლისი; 19 ივნისი: შვედეთი-საფრანგეთი

შემადგენლობა

მეკარეები:

1.ანდრეას ისაქსონი (პსვ, ჰოლანდია); 12.იოჰან ვილანდი (კოპენჰაგენი, დანია); 23.პარ ჰანსონი (ჰელსინბორგი)

მცველები:

2.მიკაელ ლუსტიგი (სელტიკი, შოტლანდია); 3.ოლაფ მელბერგი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); 4.ანდრეას გრენკვისტი (ჯენოა, იტალია); 5.მარტინ ოლსონი (ბლეკბერნი, ინგლისი); 13.იუნოს ოლსონი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი); 15.მიკაელ ანდონსონი (ბოლონია, იტალია); 17.ბერნგა საფარი (ანდერლეხტი, ბელგია)

ნახევარმცველები:

6.რასმუს ელმი (ალკმაარი, ჰოლანდია); 7.სებასტიან ლარსონი (სანდერლენდი, ინგლისი); ანდერს სვენსონი (ელფსბორგი); 9.კიმ კალსტრიომი (ლიონი, საფრანგეთი), 16.პონტუს ვერნბლუმი (ცსკა, რუსეთი); 18.სამუელ ჰოლმენი (ისთანბული, თურქეთი); 19.ემირ ბაირამი (ტვენტე, ჰოლანდია); 21.კრისტიან ვილჰელმსონი („ალ ჰილალი“, საუდის არაბეთი)

თავდამსხმელები

10.ზლატანიბრაჰიმოვიჩი (მილანი, იტალია); 11.იოჰან ელმანდერი (გალათასარაი, თურქეთი); 14.ბობიას ჰისენი (გიოტებორგი); 20.ოლა ტოივონენი (პსვ, ჰოლანდია); 22.მარკუს როზენბერგი (ვერდერი, გერმანია)

მთავარი მწვრთნელი: ერიკ ჰამრენი

ალიაშრადა ალიევი ფორეფოლიანსა

დურუჯის ნომინანტები ცნობილია

ეკა ირემაშვილი

თეატრალური პრემია „დურუჯის“ ორგანიზატორებმა და ხუთკაციანმა ჟიურიმ სპეციალურ სხდომაზე თეატრალური პრემიის კანდიდატების „მოკლე ნუსხა“ შეადგინა, რომელიც ჟურნალისტებს „დურუჯის“ ლაურეატების გამოვლენამდე 10 დღით ადრე კომშანია „რედიქსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა - მზია შარაშიძემ გააცნო.

„დურუჯს“ დაწესებული აქვს ნომინაციები საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრის, საუკეთესო მსახიობი ქალის, საუკეთესო მსახიობი მამაკაცის, სეზონის განმავლობაში დადგმული საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორის, საუკეთესო მხატვრისა და საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორის გამოსავლენად. განცხადების მიღება 30 აპრილს დასრულდა, სულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 19-მა თეატრმა და წარდგენილი იყო 30 სპექტაკლი.

– ჩვენ წელს ორი ცვლილება გვაქვს, წინა წლის ნომინაციებს დამატება ახალი ნომინაცია, საუკეთესო მხატვარი და სახალხო თეატრებს აღარ შეუძლიათ ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება. ტრადიცია არც წელს დაირღვევა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორს, რომლის ასაკი 35 წლის არ უნდა აღემატებოდეს, გადასცემს 10.000 ლარს, რომელიც გამარჯვებულმა უნდა გამოიყენოს მომავალ წელს სპექტაკლის დასადგმელად, – განაცხადა მზია შარაშიძემ.

გამომცემლობა „დიოგენემ“ თეატრალური პრემიისთვის დააწესა სპეციალური პრიზი, იგი საუკეთესო დრამატურგის პიესების კრებულს გამოსცემს, კომშანია „ჯეოსელი“ კი საუკეთესო მხატვარს ტელეფონს გადასცემს.

– რაც შეეხება „დურუჯის“ თეატრალურ პრემიას, საუკეთესო რეჟისორს გადაეცემა 14.000 ლარი, ხოლო დანარჩენ ნომინაციებში გამარჯვებულებს ორ-ორი ათასი ლარი, – განმარტა „რედიქსის“ წარმომადგენელმა.

„მოკლე ნუსხის“ გახმაურების შემდეგ, ნომინაციაში „საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი“ წარდგენილნი არიან – რობერტ სტურუა სპექტაკლით „ნადირობის სეზონი“ (თამაზ ჭილაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ნიკა თავაძე „სტრიპტიზი“ (სლავომირ მროჟეკის პიესის მიხედვით, სამეფო უბნის თეატრი), გიორგი თავაძე „გვესაჭირება მოხუცი კლოუნი“ (მატეი ვიშნეკი, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი ქალი“ დასახელდნენ – ია სუხიტაშვილი „ნადირობის სეზონი“ (რეჟისორი რობერტ სტურუა, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ქეთა შათირიშვილი „რ პლუს ჯ ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება“ (რეჟისორი მიხეილ მარმარინოსი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი), მაგდა ლებანიძე „რ პლუს ჯ ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება“, კატო კალატოზიშვილი „რ პლუს ჯ ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება“ და მაია გელოვანი „რ პლუს ჯ ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება“.

ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი მამაკაცი“ ჟიურიმ წარადგინა მარლენ ეგუტია „კრეპის უკანასკნელი ფირი“ (სამუელ ბეკეტის მიხედვით, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რეჟისორი निკოლოზ ლურასაბიშვილი),

მამუკა მანჯგალაძე „გვესაჭირება მოხუცი კლოუნი“, ტიტე კომახიძე „გვესაჭირება მოხუცი კლოუნი“ (რეჟისორი გოგა თავაძე, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), გიორგი ნაკაშიძე „რ პლუს ჯ ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება“, პაატა ინაური „რ პლუს ჯ ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება“, დათა თავაძე „სტრიპტიზი“ (რეჟისორი निკა თავაძე, სამეფო უბნის თეატრი).

ნომინაციაში „საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი“ დასახელდნენ თამაზ ჭილაძე „ნადირობის სეზონი“ (რეჟისორი რობერტ სტურუა, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი) და ლაშა ბუღაძე „პანთეონი“ (რეჟისორი გურანდა იაშვილი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი და რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი, სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი.

წელს დამატებულ ახალ ნომინაციაში „საუკეთესო მხატვარი“ განიხილებიან თემურ ნინუა „ნადირობის სეზონი“ (შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), निინო კიტია „ფსიქოზი 4:48“ (რეჟისორი მაკა ნაცვლიშვილი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი) და გიორგი თავაძე „გვესაჭირება მოხუცი კლოუნი“ (ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

ნომინაციაში „საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი“ იბრძოლებენ निკოლოზ ლურასაბიშვილი „კრეპის უკანასკნელი ფირი“ (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), მაკა ნაცვლიშვილი „ფსიქოზი 4:48“ (ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრი) და გაგა გოხაძე „ბოლო გაჩერება“ (ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

– დაჯილდოების ცერემონიამდე რამდენიმე საათით ადრე ფინალური ფარული კენჭისყრით გაირკვევა ლაურეატები. „დურუჯის“ დაჯილდოების ცერემონია საქველმოქმედო ფონდ „ცისკრისა“ და კომშანია „რედიქსის“ ინიციატივით წელს მეოთხედ იმართება. გასული სამი წლის განმავლობაში ის ყვარელში ტარდებოდა. თუმცა, იმის გამო, რომ ღონისძიებაზე დასწრების მსურველი ბევრი იყო, ხოლო ადგილი კი პატარა, წელს დაჯილდოების ცერემონია თბილისში ჩატარდება. ის 16 ივნისს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში შედგება და დაახლოებით ორ საათს გაგრძელდება, – აღნიშნა მზია შარაშიძემ.

„დურუჯის“ ორგანიზატორები 250-300 სტუმარს ელიან, ნომინაციებში გამარჯვებულებს სპეციალური ქანდაკება „დურუჯი“ გადაეცემათ, რომლის ავტორიც მოქანდაკე ირაკლი წულაძეა.

– პრემია „დურუჯი“ გაიცემა წელინადში ერთხელ. შერჩევაში მონაწილეობის მიღება ხდება მხოლოდ სპექტაკლის წარდგენით, ამ პრემიის პრეტენდენტები შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქე პროფესიონალი რეჟისორი, რომლის სარეჟისორო ნამუშევარი დადგმულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თეატრში; სპეციალურ პრიზზე ახალგაზრდა რეჟისორისათვის – საქართველოს მოქალაქე პროფესიონალი რეჟისორი, რომლის ასაკიც არ აღემატება 35 წელს და რომლის სარეჟისორო ნამუშევარი დადგმულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თეატრში; საქართველოს მოქალაქე პროფესიონალი მსახიობი, რომელიც თამაშობს საქართველოს ტერიტორიაზე დადგმულ სპექტაკლში; საქართველოს მოქალაქე თანამედროვე დრამატურგი, რომლის პიესაც დადგმულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თეატრში; პრემიის მისაღებად პრეტენდენტის წარდგენა შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ან კერძო პროფესიულ თეატრს, გარდა სახალხო თეატრებისა. პრემიის კანდიდატები შეიძლება დასახელდნენ თეატრალური ხელოვნების ნებისმიერი ჟანრის სპექტაკლი-სათვის – დრამა, მუსიკალური სპექტაკლი (მიუზიკლი), თოჯინები, პანტომიმა და ა.შ. პრემიაზე წარდგენილი სპექტაკლის პრემიერა აუცილებლად უნდა იყოს შემდგარი 2011-2012 წლების თეატრალური სეზონის განმავლობაში – 2011 წლის 30 აპრილიდან 2012 წლის 30 აპრილამდე. პრემიაზე წარდგენილ სპექტაკლებს აფასებს პრემიის ჟიური 5 წევრის შემადგენლობით. მათი ვინაობა კონფიდენციალურია და ცხადდება მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიაზე. პრეტენდენტები შეფასებებიან რამდენიმე ეტაპად: ჟიურის მიერ პრემიაზე წარდგენილი პრეტენდენტების ნამუშევრების შეფასების შედეგად დგება ნომინანტთა „მოკლე ნუსხა“, რომელიც გამოქვეყნდება ჩვენს ვებგვერდზე. ჟიურის წევრები გამარჯვებულებს „მოკლე ნუსხაში“ მოხვედრილი ნამუშევრებიდან ფარული კენჭისყრით გამოავლენენ დაჯილდოების დღეს, ცერემონიამდე რამდენიმე საათით ადრე. თუ ხმათა რაოდენობა თანაბარად გადანაწილდა ორ პრეტენდენტს შორის, ჟიურის წევრები თანაბარქულიან პრეტენდენტებს შორის გამარჯვებულს ფარული კენჭისყრით გამოავლენენ. ჟიურის გადაწყვეტილება კი დაჯილდოების ცერემონიაზე გამოცხადდება, – განაცხადა მზია შარაშიძემ.

ნიკოლოზ რურუამ გამარჯვებულები დააჯილდოვა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

კონფერენციებისა და ერთა ლიგის მიერ მიღებული რეზოლუციების კომპილაციას.

– პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე კანდელაკი იყო ემიგრანტული მთავრობის წევრი 1919 წლის 21 მარტიდან ბოლშევიკთა ანექსიამდე ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, რომლის სახელსაც უკავშირდება ქართული ფულის ერთეულის გამოშვება. 1921 წლის მარტიდან კანდელაკი აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა ემიგრაციაში, იყო ეკონომიკის თეორეტიკოსი, სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, რომლებიც როგორც საქართველოს ეკონომიკას, ასევე გლობალურ თემებს ეძღვნება. კონსტანტინე კანდელაკი იყო საქართველოს პირველი მთავრობის არქივის შემნახველი სამთავრობო კომისიის კომისიის წევრი, რომლის შემადგენლობაში მასთან ერთად ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორიც შედიოდნენ. ანტანასაბჭოთა, ანტიკომუნისტური არქივის დაბრუნება ქართულ განძეულობასთან ერთად შეუძლებელი იყო, ამიტომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირველწყაროები საფრანგეთის ეროვნულ არქივს გადაეცა, ხოლო მის დასაცავად აღნიშნული კომისია დაფუძნდა. კონსტანტინე კანდელაკი რადიო „თავისუფლების“ პირველი დიქტორი იყო გრიგოლ რობაქიძეს, ვიქტორ ნოზაძეს, მიხაკო წერეთელს, ნოე ჟორდანიასა და აკაკი ჩხენკელთან ერთად. მას დიდი როლი მიუძღვის ქართველი ებრაელების გადარჩენაში საფრანგეთის ნაცისტური ოკუპაციის დროს. იგი შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გარდაიცვალა, თუმცა ის მოგვიანებით პარიზში გადმოასვენეს და ელვილში დაკრძალეს, – განუმარტა შეკრებილ საზოგადოებას კონსტანტინე კანდელაკის პიროვნება निკოლოზ რურუამ.

निიკოლოზ რურუა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დისპორის საკითხებში მირზა (პაპუნა) დავითაია და მიწვეული სტუმრები.

– საქართველოს პირველი რესპუბლიკა იყო შემდგარი დემოკრატიული, ევროპული სახელმწიფო. ეს ფაქტი არის საქართველოს ევროპული არჩევანის ისტორიული ლეგიტიმაცია. ეს კონკრეტული წიგნი შესანიშნავად გადმოსცემს ამ ყველაფერს საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. ეს წიგნი აჩვენებს საქართველოს ნამდვილ რეალურ მისწრაფებას ევროპაში, რომელიც რუსეთის ოკუპაციამ გაწყვიტა 1921 წელს. ჩვენ ვიყავით შემდგარი ევროპული სახელმწიფო, თუმცა ამ სამწლიანმა ისტორიამ დღევანდლამდე ვერ მოაღწია, იმიტომ, რომ საბჭოთა რეჟიმმა რვარეისების გზით ამოხია ეს ფურცელი ჩვენი ისტორიიდან, მაგრამ ეს ის ფურცელია, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ვერ დამალა, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

სოსო ცისკარიშვილი: ხელისუფლება ბევრ უკადრებელს იკადრებს“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ლება ასე წარსულში გადავარდნა, მაგრამ როცა დღევანდელ ვითარებაში არის უზარმაზარი მზაობა დიქტატურის აღორძინებისა, ადამიანთა უფლებების აბუჩად აგდების, როდესაც პოლიტიზირებულია თავიდან ფეხებამდე და ფეხებიდან თავამდე ისეთი ორგანიები, როგორიც არის ეროვნული ბანკი, კონტროლის პალატა, სასამართლო, პოლიცია და პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო დაწესებულება, განათლების სამინისტროს ჩათვლით, რასაკვირველია, დემოკრატიაზე საუბარი არის შეურაცხმყოფელი თავად დემოკრატიის ცნებისთვის. ვისაც ამ თემაზე საპარლამენტო უმრავლესობის კაჭკაჭების ლაზღანდარობა რაიმე ტიპის არგუმენტად მიაჩნია, მაშინ უმჯობესია ცოტა თეორიას ჩაუღრმავდეს და ყური მიუგდოს სხვადასხვა წელთაღრიცხვაში მცხოვრები გენიოსების გამონათქვამებს, რა არის დემოკრატია, რას ნიშნავს უმრავლესობა, რას ნიშნავს არჩევითობა და რა არის ადამიანის უფლებები. დღეს არის მცდელობა, რომ ძალიან ვიწრო თვალსაწიერი ჰქონდეს საქართველოს მოსახლეობას ამ თემებთან დაკავშირებით. სწორე დღეს გახლავთ მიზეზი, დაუშვებლობისა საინფორმაციო ველის გათავისუფლების. მოახერხებს ამას თუ არა ხელისუფლება ისე, რომ არ აგოს პასუხი ამ უმსგავსობისთვის, ამას ქართველი ხალხი გადაწყვეტს.

– ასეთი პოლიტიკით მეტ უკურეაქციას არ გამოიწვევენ საზოგადოებაში?

– ხელისუფლებას აღარ აინტერესებს აღარანაირი ტიპის რეაგირება საზოგადოებისგან. ხელისუფლებას არ სჭირდება არც ერთი ამომრჩეველი არჩევნებზე. მას გააჩნია ტექნოლოგიები, რომლის იმედადაც ისინი მზად არიან დარჩნენ ხელისუფლებაში ან და მარადის უკუნისი უკუნისამდე! ამ ტექნოლოგიების გამოყენებით, ამ შემთხვევაში ისინი რაიმე უხერხულობას, რასაკვირველია, არ იგრძნობენ. ამ ხელისუფლების არსებობისთვის დემოკრატია დიდ საფრთხეს წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ წინ კიდევ ბევრი უკადრისი ნაბიჯი გვაქვს ხელისუფლებისგან და სწორედ ამ ვითარებისთვის დაგვიტოვა ანდერძად დიდმა პოეტმა თავისი სიბრძნე, რომ „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“. როდესაც ქვითკირის სიმტკიცე გააერთიანებს ქართულ საზოგადოებას, მაშინ უძლური იქნება ნებისმიერი არამზადა, რომელიც ცდილობს სხვისი ცრემლის, ოფლის და სისხლის ფასად მოიწყოს საკუთარი კომფორტული ცხოვრება და აბოგინოს მისი დამქაშები მთელს ქვეყანაში. არც პროვოკაციაა ამათგან გასაკვირი. საკაშვილს თავისი თანაგუნდელებისგან განსხვავებით, საჯაროობის მიდრეკილება აქვს, ხოლო ადამიანები, რომლებიც დღეს რეალურად მართავენ მას, არიან ყველაფერზე წამსცლელნი, რადგან არც პოლიტიკური კლასი, არც რაიმე საფუძველი შეწყალებისა, მათ ახალი ხელისუფლების პირობებში არ გააჩნიათ. ან ყველაფერი, ან არაფერი. იმაზე მეტი რისკი, რაც საკუთარი დანაშაულებების გამომჟღავნებაა, შესაძლოა ზოგიერთთათვის არც არსებობდეს, სხვა არასასურველი სცენარის შემთხვევაში. დღეს ქვეყნისთვის ბევრად მეტ საფრთხეს წარმოადგენენ პრეზიდენტის გარემოცვის თავზეხელაღებული წარმომადგენლები, ვიდრე ის ელიტა, რომელსაც აქვს პრეტენზია ქვეყნის მართვის.



ჰორიზონტალურად

შვეულად: 1. ავადმყოფობის დროებითი შესუსტება; 2. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა; 4. აეროპორტი ტოკიოში; 5. კრემისგულიანი ნამცხვარი; 9. გემების სადგომი ნავსადგურში; 10. შუამავალი ბირჟაზე; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. მასმედიის ერთ-ერთი საშუალება; 16. მშვიდობის სიმბოლად მიჩნეული ფრინველი; 19. თორმეტი თანავარსკვლავედის საერთო სახელწოდება; 20. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 21. გამოსაკითხი ფურცელი.

თარაზულად: 6. ნავსადგური ყირიმში; 7. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 8. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 11. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 12. ფრანგ მხატვარ ჟან ოგიუსტ დომენიკის ფსევდონიმი; 13. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 17. მათემატიკის ნაწილი; 18. ჩაის დეგუსტატორი; 22. ნახევარკუნძული აშშ-ში; 23. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 24. რთული, სადავო საკითხის სწორი დასკვნისთვის მოწვეული სპეციალისტი; 25. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ჯვარედინი

ჰორიზონტალურად: 1. ავადმყოფობის დროებითი შესუსტება; 2. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა; 4. აეროპორტი ტოკიოში; 5. კრემისგულიანი ნამცხვარი; 9. გემების სადგომი ნავსადგურში; 10. შუამავალი ბირჟაზე; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. მასმედიის ერთ-ერთი საშუალება; 16. მშვიდობის სიმბოლად მიჩნეული ფრინველი; 19. თორმეტი თანავარსკვლავედის საერთო სახელწოდება; 20. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 21. გამოსაკითხი ფურცელი.

თარაზულად: 6. ნავსადგური ყირიმში; 7. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 8. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 11. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 12. ფრანგ მხატვარ ჟან ოგიუსტ დომენიკის ფსევდონიმი; 13. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 17. მათემატიკის ნაწილი; 18. ჩაის დეგუსტატორი; 22. ნახევარკუნძული აშშ-ში; 23. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 24. რთული, სადავო საკითხის სწორი დასკვნისთვის მოწვეული სპეციალისტი; 25. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი.

ობუფ ყჯვტჰიბ უფვჯმდტ.ყტ.ეუბ ჰჰჯსდჯჰლთ.ბც გფსეკ[ტ.ბ5

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აბზინდა; 2. მერანო; 3. ესმერალდა; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. „ბატე“; 11. დრენაჟი; 13. კეტჩუპი; 15. პიაფი; 16. „სანტე“; 18. ქეიფი; 19. ვანგა.

თარაზულად: 6. ბომბეი; 8. მენისკი; 9. თითბერი; 10. ნერეიდა; 12. კობზა; 14. შირაზი; 17. დეტექტივი; 20. ზღაპარი; 21. ეფექნდი; 22. ფლეგმა; 23. ბეისბოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კამბუში; 2. სიმინდი; 3. ჰინდიკუში; 4. სირაჯი; 5. ორღანი; 9. კარნე; 10. სტაპელი; 14. დეკლარაცია; 15. ჯარაექიმი; 16. ენგური; 19. ბოჭორმა; 20. სალამო; 21. „ვიტესი“.

თარაზულად: 6. პარფიუმერია; 7. კოლიბრი; 8. „იბერია“; 11. მარჯანი; 12. ოდეტა; 13. დურბანი; 17. კარიბალდი; 18. კანდელაკი; 22. თაფლუჭი; 23. როიტერი; 24. ომნიბუსი; 25. პიკადორი.

სირიაში სამთავრობო არმიის ირიშს 86 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

სირიაში, ჰამას პროვინციაში, კუბაირსა და მაარზაფაშის სოფლებში სამთავრობო არმიის ირიშს 86 ადამიანი ემსხვერპლა. „ბი-ბი-სის“ ცნობით, სამხედროებმა „ტერორისტთა ბაზას“ ცეცხლი ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით გაუხსნეს.

სირიის ნაციონალური საბჭოს პრესმდივნის ინფორმაციით, მსობრივი მკვლელობის დროს დაღუპულთა შორის 20-ზე მეტი ქალი და 20 ბავშვია. მათ უმრავლესობას დანი არის მოკლული და ყელი აქვთ გამოჭრილი.

ოფიციალური დამასკო უარყოფს თავის მონაწილეობას მომხდარ სასაკლაოში. ხელისუფლება აცხადებს, რომ სირიის არმია მაშინ მივიდა ჰამას მაცხოვრებელთა დასაცავად, როდესაც მათ თავს ტერორისტული ჯგუფების „ბოევიკები“ დაესხნენ (ასე უწოდებს ასაი ოპოზიციას).

„ფრანს პრესის“ ინფორმაციით, ოფიციალური დამასკოს განცხადებით, ბრძოლის დროს ტერორისტებსა და სამხედროებს შორის ექსტრემისტული დაჯგუფების ყველა წევრი, რომელიც ალ-კუბეირს დაესხა თავს განადგურეს. სირიის ხელისუფლება აცხადებს, რომ ჰამას სოფლებში მასობრივი მკვლელობა ჩადენილია სირიის ხელისუფლებაზე ზეწოლის მიზნით გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის წინ, რომელიც სირიის კრიზისს ეძღვნება.

სირიის ოპოზიციური ნაციონალური საბჭოს პრესმდივნის თქმით, მასობრივი მკვლელობებია მომხდარი ასევე სოფლებში კუბეირსა და მარზაფაში. სოფელ კუ-ბეირის მაცხოვრებელი, რომელიც სასაკლაოს გადაურჩა „ბი-ბი-სის“-თან საუბარში აცხადებს, რომ მკვლელობების ბაშარ ასადის ჯარებმა და მისმა ერთგულმა მოხალისეებმა ჩაიდინეს. მისივე ინფორმაციით მოკლულთა შორის ასევე არის სამი თვის ბავშვი. ადგილობრივი საკოორდინაციო ორგანოები იუწყებიან, რომ კუბაირში 78 ადამიანია დაღუპული, მათ შორის 35 ერთი ოჯახის წევრია.

ამ ფონზე, გაერო სირიაში არსებულ კრიზისთან დაკავშირებით ორ შეხვედრას გამართავს. ქვეყანაში გაეროს სპეციალური წარმომადგენელი კოფი ანანი გაეროს უშიშროების საბჭოში და გენერალურ ასამბლეაში წარდგება. ანანი დღესვე აპირებს ამ საკითხზე სასაუბროდ ამერიკის სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს შეხვდეს. კლინტონი გუშინ თურქეთში გლობალურ კონტრტერორისტულ ფორუმს დაესწრო, სადაც ბაშარ ალ-ასადის რეჟიმზე ზეწოლის გაძლიერებასა და არებული სანქციების გამკაცრებაზე ისაუბრა.

სანქციების გამკაცრებაზე ისაუბრეს გუშინ ვაშინგტონში, სირიის მეგობრების შეხვედრაზეც.

შეიარაღებული შეტაკებები სირიაში დაახლოებით ორი კვირის წინ განახლდა. მაშინ ჰულას რაიონზე ბაშარ ასადის ჯარების ირიშს 108 ადამიანი ემსხვერპლა. ხელისუფლება საკუთარ ბრალეულობას არ აღიარებს და სისხლიანი შეტაკებების პროვოცირებაში სხვადასხვა უკანონო ფორმირებებს ადანაშაულებს.

ევროპა შიშობს, რომ ყარაბაღის კონფლიქტი კონტროლიდან გამოვა

ევროპის საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის დირექტორის საბინა ფრეიზერის განცხადებით, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ ყარაბაღის კონფლიქტი კონტროლიდან გამოვიდეს და სამხედრო ოპერაციები დაიწყოს.

– აზერბაიჯანი და სომხეთი დაიწყებენ სამხედრო ოპერაციებს იმისთვის, რომ შური იძიონ. როგორც კი ეს მოხდება, მხარეებს გაუჭირდებათ უფსკრულის პირიდან თავის დაღწევა და სწრაფად ომის მოგება.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო მდივანმა ასე ხმამაღლა განაცხადა თავისი სურვილის შესახებ, პირდაპირ ჩართულიყო კონფლიქტში. იმედი მაქვს, რომ ამერიკა ამ პრობლემაში უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. თუ სომხეთმა და აზერბაიჯანმა თვითონ არ მოინდომეს ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება, ვერც ევროპა, ვერც ამერიკა და ვერც რუსეთი ამას ვერ დააძალებს, – განაცხადა ფრეიზერმა სააგენტო „თურანთან“ საუბარში.

ყარაბაღის ომი (ყარაბაღის კონფლიქტი) (1991-1994) სამხედრო კონფლიქტი სომხურ და აზერბაიჯანულ შეიარაღებულ შენაერთებს შორის მთიან ყარაბაღის რეგიონზე კონტროლის დასამყარებლად.

ბრძოლა ყარაბაღისთვის ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო, რომელიც მაშინ აზერბაიჯანის გამარჯვებით და მასზე კონტროლის დაწესებით დასრულდა.

1921 წელს რუსეთმა კავკასიის სამივე სახელმწიფო: სომხეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, ყარაბაღი სომხეთის სსრ-ს გადაეცა, რასაც დიდი საპროტესტო მოძრაობა მოჰყვა აზერბაიჯანში. ხოლო ერევანში ისევ საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება მიმდინარეობდა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, 1921 წელს მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანს გადაეცა. ხოლო 1923 წელს, იგი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური რეგიონად გადაიქცა და აზერბაიჯანის სსრ-ში შეეიდა.

ამ დროისთვის, ყარაბაღის მოსახლეობის 94%-ს სომეხი ეროვნების მოსახლეობა შეადგენდა. ავტონომიური რეგიონის დედაქალაქი შუშადან ხანკენდში გადაიტანეს, რომელსაც შემდგომში სტეფანაკერტი ეწოდა.

„ეფბიაი“ თეთრი სახლიდან საიდუმლო ინფორმაციის შესაძლო გაჟონვას იძიებს

„სი-ენ-ენის“ ცნობით, გუშინ ამერიკის ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო ირანის წინააღმდეგ კიბერთავდასხმის პროგრამის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვას იძიებს.

თავად ბიუროს წარმომადგენელს პოლ ბრესსონს აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. რესპუბლიკელი სენატორის საქმეი ჩემბლის თქმით კი, მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოძიება დაიწყო:

„გასულ კვირას ჩვენ ძალიან შეგვაშფოთა საიდუმლო ინფორმაციის შესაძლო გაჟონვის შესახებ ინფორმაციამ. ნებისმიერი მსგავსი შემთხვევა ამერიკელების სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებს და ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისთვის გამოუსწორებელი დარტყმაა, – აღნიშნავს სენატორი.

წარმომადგენელთა პალატისა და სენატის სადაზვერვო კომიტეტების ლიდერების თქმით, აპირებენ „განიხილონ ის კანონმდებლობა, რომელიც საიდუმლო ინფორმაციის გამოშეღაენებას ეხება“.

თავად თეთრი სახლი უარყოფს რაიმე ტიპის საიდუმლო ინფორმაციის გამეღაენებას: „ადმინისტრაცია ყველა ღონეს ხმარობს რომ მსგავსი შემთხვევები თავიდან იქნეს აცილებული, – აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯეი კარნეიმ.

საქმე ეხება „ნიუ-იორკ თაიმსის“ 1 ივნისის მასალას, სადაც ირანის ბირთვული პროგრამაზე ამერიკის კიბერშეტევაზეა საუბარი. სტატიაში აღნიშნულია, რომ კაპიტალისტებისთანავე ამერიკის ტრიდენტმა ბარაკ ობამამ ირანის ურანის გამამდირებელ ქარხნებზე კიბერთავდასხმის მომზადების ბრძანება გასცა.

თეთრი სახლი – აშშ-ის პრეზიდენტის რეზიდენცია და კანცელარია ვაშინგტონის ცენტრში (1800 ნლიდან). სახელი ეწოდა შენობის ფერის გამო. 1792 წელს ააგეს, 1814 წელს ინგლისელებმა დაწვეს, ოთხი წლის შემდეგ კი აღადგინეს. ხშირად ტერმინით „თეთრი სახლი“ მოიხსენიებენ აშშ-ის მთავრობას პრეზიდენტის მეთაურობით.

თეთრი სახლის მშენებლობა 1792 წელს დაიწყო და დასრულდა 1800 წელს. იგი ორჯერ გადააკეთეს. დღეისათვის მისი მთავარი ნაწილი 132 ოთახისაგან შედგება. პირველი და მეორე სართულის ოთახების უდიდესი ნაწილი ოფიციალური ცერემონიალებისათვის არის განკუთვნილი. მესამე სართული კი – მხოლოდ პრეზიდენტის და მისი სტუმრებისათვის. სახლს გარს აკრავს 18 ჰექტარი პარკი. მსოფლიოში სახელგანთქმული ოვალური კაბინეტი მოთავსებულია პირველი სართულის მარჯვენა ფრთაზე, პრეზიდენტის სამუშაო მაგიდა მუხისაა. ეს მაგიდა, ისე როგორც ბევრი ნივთი ამ კაბინეტში, ისტორიულია. მაგიდა აშშ-ის პრეზიდენტს აჩუქა ბრიტანეთის დედოფალმა ვიქტორიამ.

პირველი სართულის სამხრეთი ფრთის ფართო ჰოლში პრეზიდენტი იღებს სტუმარი სახელმწიფოს მეთაურებს. ოფიციალური სადილის დაწყების წინ სპეიტმენ სტუმრებს პრეზიდენტი იღებს ყვითელ სალონში, რომელიც მოთავსებულია მეორე სართულის ცენტრალურ ნაწილში. შემდგომ სტუმრებთან ერთად ჩადის ქვედა სართულზე, სადაც განლაგებულია სამი სალონი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის პრეს-კონფერენციისათვის არის განკუთვნილი.

შენობის დასავლეთ ნაწილში ოფიციალური სადილების დარბაზია, სადაც ერთდროულად 140-მდე კაცი თავსდება. მასიურ ბუხარზე ამოტვიფრულია შენდეგი სიტყვები: „ზეცას ვთხოვ, დალოცოს ეს შენობა და ყველა, ვინც ამ სახლში იცხოვრებს! დაე, იყოს პატიოსანი და ბრძენი ის ადამიანი, რომელიც ამ სახლიდან მართავს ქვეყანას“. აქვე მოთავსებულია ამავე დანიშნულების მეორე უფრო მცირე დარბაზი.

მესამე სართულზე ოფიციალური დასასვენებელი ოთახებია სტუმრებისათვის და ოჯახის წევრებისათვის. საერთო ჯამში ამ შენობაში 22-მდე ოთახია ოფიციალური მიღებისა და საზეიმო ცერემონიალებისათვის. აქვეა დამხმარე სათავსოებიც: სამზარეულო, სარემონტო და სხვა.

თეთრ სახლში ბევრი ძვირფასი ნივთია: ხალიჩები, გობელენები, ბრლი, ნახატები. პარკში რამდენიმე აუზი და ჩოგბურთის კორტია.

მაიაზზადა გვრა მაპულაშვილმა

40 წლამდე მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა

გუშინ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვახუშტის ხიდდთან 40-წლამდე მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა და მტკვარში გადახტა.

„ფორდის“ მარკის ავტომობილი ბოძს შეეჯახა, რის შემდეგაც მძღოლი მოულოდნელად ავტომობილიდან გადმოვიდა და მტკვარში გადახტა.

შემთხვევა ვახუშტის ხიდთან მოხდა, თუმცა დინებამ ის გალაკტიონის ხიდამდე წაიღო.

თვითმხილველებმა სამაშველო სამსახური გამოიძახეს, მათ მამაკაცის გადარჩენა შეძლეს, თუმცა ის ამოყვანისას მაშველებს წინააღმდეგობას უწევდა.

მამაკაცს მცირე ზედაპირული დაზიანებები აღენიშნება.

გამოკვლევებისათვის ის საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაიყვანეს.

მედიანიუსი

ცფვუაჯდგფჰჯ უფყნ[ფლტ.ტ.ბ

ეთერ, მანანა, მაია, გურამ, ვახტანგ მებუკეები ოჯახებით ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მეგობარი, გამორჩეული ადამიანი

ირაკლი ონისიმეს ძე ანდრიაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს, ქალბატონ ციალას, შვილებსა და მათი ოჯახის ყველა წევრს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო ირაკლი!

ლენგო ქორქიას მონატრება

ორმოცი დღე გავიდა, ცრემლებით სავსე... ჩვენ კი კარისკენ გვიჭირავს თვალი. ყოველდღე მოდის საღამოს 6 საათი, შენ კი არ ბრუნდები სამსახურიდან... დაცარიელდა არა მარტო სახლი, ეზოც, ქუჩაც, ქალაქიც.

ორივე ვტიროდით, უცებ გაქრი, მაშინ მე და შენ კი არა, სამყარო განადგურდა თითქოს...

როგორ ვარ? რა ვიცი... ჩამომატეხეს იმედი თითქოს. ვერ ვეგუები უმამობას და მაშინებს სიტყვა ობოლი. შენს სურათებს ვეფერები, სულ მინდა, დამესიზმრო. გვტკივა უშენობა, გვენატრები...

დღეს უფრო მძიმეა დღე... დღე მეორმოცე. უთენია ვდგები, ვაღებ ყველა ფანჯარას და სამოთხეში გიშვებ, ჩემო მამიკო.

დოლორესი, ნინო, ლევანი, ნიკოლოზი, შენი ოჯახი

ლემონჯავების საგვარეულოთა კავშირი თანაუგრძნობს გივი ლემონჯავას დედის

ბაბუცი ელიზბარის ასულ ვეკუას

გარდაცვალების გამო.

ცფვუაჯდგფჯ უფყნ[ფლტ.ტ.ბ ვბბკქ.ფ .ჯდგკლქგ7 რდბაბგ უფალუ7 !@-ლფყ !& ცფფსფლტგ

TV პროგრამა

პარასკევი 8 ივნისი

06.30 მოამზე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **09.00**, **12.00**, **16.00**, **20.00** მოამზე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** ტოკა-შოუ "არენა" **13.40** ჩვენი ეზო **14.30** ვერო-**2012**. **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** პეპე და მეგობრები **19.40** **ფუხბურთი**: **პოლონეთი – საბერძნეთი** (პირდაპირი) **22.00** მიმოხილვა ევრო – **2012**. **22.35** **ფუხბურთი**: **რუსეთი – ჩეხეთი** (პირდაპირი) **00.45** მიმოხილვა ევრო – **2012**. **01.30** მხ. ფილმი **"ბარგო ეორდწილები"** (**18**) (ნ. კიდმანი) **03.10** მ.ფ."**ოფიცერი და ჯენტლმენი**" (**18**) (რ. გირი) **05.20** მხ. ფილმი **"სანფრანცელი დღე"** (**15**) (დ. ვაშინგტონი)

08.00, **00.00** მოამზე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **14.45**, **17.45**, **23.00** პრიფინგის დროი **10.00**, **19.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა. **11.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პირდაპირი) **16.00** დოკ. ფილმი "ეკა ყელი" **16.45** სერ. **"ეროპიული საიდუმლო ჩვენს შორის"** **20.00** მხ. ფილმი **"ფრანცანფეთინი"** **00.00** მოამზე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"სტეფორდელი ცოლები"** (**12**) (ნ. კიდმანი)

07.30 იმედის დილა **10.05** სერ. **"მოაარული ეფექტორები"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **01.30**, **05.15**, **07.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"უკანასკნელი ბიბანი"** **12.30** დღის შოუ **14.40** ნანუკას შოუ (გან.) **17.40** სერ. **"მეფეთელი ცა"** **18.40** სერ. **"ფურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"ბედკეთილიანები"** **22.00** ქარ. სერ. **"ბოგონა ბარეფანიდან"** **23.00** **100** გრადუსი **00.15** ქალური ლეგიკა **01.55** "ფლეი ბოი" **02.20** მხ. ფილმი **"16 ქარბალი"** (**12**) (ბ. უილისი) **04.00** მხ. ფილმი **"ილაის ღამეები"** (**15**) (გ. ოლდმენი) **06.30** სერ. **"ფურისძიების სიფასური"**

07.30 დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ფეფლის ბუნი"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00**, **04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"ბეზნეკარეკ ბუნი"** **19.50** სერ."**ეფლური ყოველი**" **21.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.30** სერ."**ალფალეების ჟეჯა 12**" **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტრტ.)

08.00 ან. ფილმი **08.55** სერ. **"ბარია ეფილია"** **09.45**, **12.00**, **15.15**, **17.00** ტკ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. **"ენმ, ფფვანა სანფალეების ბეფეთლიდან"** **13.00** მზესუმზარა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ეფლური ფიეკარ"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ფნეპაფა ფიფა"** **21.00** მხ. ფილმი **23.00** **105** წუთი (პირდ.) **01.00** მზესუმზარა **03.00** მხ. ფილმი

08.30, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"საიდუმლო ეფენტების თეატალდასპალი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10**, **14.10**, **17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40**, **15.00**, **18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50**, **21.25** სერ. **"ნაბა"** **13.00** სამეფო. გდე. "იმუფლი" **13.30** სერ."**ბარეფნეა კარეინი**" **15.15** სერ. **"საიდუმლო ეპეფლეების თეატალდასპალი"** **16.30** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვეტერორი **18.15** დოკ. ფილმი **19.35** სერ."**მეფეიოა**" **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი **10.00**, **18.05**, **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35**, **21.20** ლეკნილი ქუბათა ქება **10.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი **12.15** დოკ. ფ. "რასელისტები" (ეიდოლას მონმეები). **13.10** დოკ. ფ. "სარფი მოლენა". **14.05** კონცერტი. **15.05**, **18.53**, **22.55** ერთი ნივთის ისტორია. **14.40** დოკ. ფილმი "ბუდე". **15.55** დოკ. ფილმი "ელენური ბუნება". **16.20** მხ. ფილმი **"ბარანული ზაფხული"** **17.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ჭკვალი ალიქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი **"ბარანიფიფული ალეი"**. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** დოკ. ფილმი "წმინდა მოციქულთა სწორი ნინო". **22.45** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი **"ჭა"**. **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj
3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 ivnisi

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6219	ევრო —2,0582
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5626	რუსული რუბლი — 0,0549

ჩრდილოეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

ამინდის პროგნოზი 8 ივნისისთვის

28 მაისიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

მეორე ტომი
ფასი 6 ლარი



მადრიდში კორიდას ფესტივალი მიმდინარეობს

ესპანეთის დედაქალაქში კორიდას ტრადიციული ფესტივალი მიმდინარეობს. მადრიდში კორიდას ფესტივალის ჩატარების ტრადიცია მისი დედაქალაქად გამოცხადების დროიდან იღებს სათავეს. სხვა ღონისძიებების მსგავსად, თავდაპირველად კორიდა პლაზა მაიორზე იმართებოდა. დღეს კორიდა „ლა პლაზა დე ტოროს ლას ვენტასზე“ იმართება, რომელიც ესპანეთში ყველაზე დიდ არენას წარმოადგენს. კორიდა ესპანური კულტურის ნაწილია და ესპანელებისთვის ნამდვილ ზეიმს წარმოადგენს.

კორიდა (ესპ. კორიდა დე ტოროს) – ხარების ბრძოლის ყველაზე გავრცელებული ფორმა. დამახასიათებელია ესპანეთისათვის. თავდაპირველად კორიდა იმართებოდა ქალაქის სწორკუთხა მოედნებზე, მეთვრამეტე საუკუნეში კორიდის კანონების ჩამოყალიბების შემდეგ იგი იმართებოდა უკვე წრიულ მოედნებზე. საქართველოში ცნობილი იყო კურულის სახელწოდებით. 2011 წელს კატალონიაში კორიდას ჩატარება აიკრძალა.

გარდაიცვალა რეი ბრედბერი

91 წლის ასაკში, ლოს ანჯელესში გარდაიცვალა ამერიკელი მწერალი-ფანტასტი რეი-ბრედბერი.

ინფორმაცია, მწერლის გარდაცვალების შესახებ, გაავრცელეს მისმა ქალიშვილმა და ასევე, ბიოგრაფმა სემ უელერმა. მთელი ცხოვრების განმავლობაში მწერალი ერი ქალის – მარგარეტის ერთგული იყო, რომელთანაც მან 1947 წელს იქორწინა. მათ შეეძინათ ოთხი ქალიშვილი.

ყველაზე მეტად ბრედბერი ცნობილია 1953 წელს გამოცემული ანტიუტოპიური ჟანრის ნოველით – „451º ფარენჰაიტით“ და 1950 წლის რომანით „მარსის ქრონიკები“.

მწერლის პოპულარობაზე დადებითად იმოქმედა მისი წიგნების მიხედვით გადაღებულმა ეკრანიზაციებმა. ბრედბერი აღიარებულია მეოცე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ფანტასტ მწერლად.

რეიმონდ დაგლას ბრედბერი (დ. 22 აგვისტო, 1920 – გ. 6 ივნისი, 2012) – ამერიკელი მწერალი, რომელიც მოღვაწეობდა ფანტასტიკის, საშინელებათა, სამეცნიერო ფანტასტიკისა და დეტექტივების ჟანრში.

გ. ჭ.

„იაშვილმა ბოხუმი“ გააფორმა

მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნილი „კარლსრუეს“ ან უკვე ყოფილი კაპიტანი ალექსანდრე იაშვილი მომდევნო სეზონიდან „ბოხუმის“ მაისურს მოირგებს. რაც შეეხება კონტრაქტს, მას ხელი მომავალ კვირაში უნდა მოეწეროს და მისი პირობებიც ცნობილი გახდება ჩვენთვის. თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, „იაშკამ“ და „ბოხუმმა“ შეთანხმებას საკმაოდ ადვილად და სწრაფად მიაღწიეს. „ბილდის“ ინფორმაციით, გამოცდილი ქართველი ფორვარდი ისევ მეორე ბუნდესლიგაში დარჩება და შეეცდება, როგორმე „ბოხუმს“ პირველ ბუნდესლიგაში გადმოსვლაში დახმარება გაუწიოს. თავის გერმანულ კარიერაში იაშვილს 412 მატჩი აქვს ჩატარებული (ლუბეკი, ფრაიბურგი, კარლსრუე) და მის ანგარიშზე 79 გოლია. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის თებერვლიდან მოყოლებული „ბოხუმში“ უკვე ასპარეზობს ნიკოლოზ გელაშვილი და ამიერიდან ორი ქართველით შეუტევს.

ჭ. ჟ.

.ᲓᲐᲡᲕᲘ ᲣᲤᲘᲡᲓᲔᲑᲘᲡᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ= ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲐ

fanhjgbjuyjpb ᲒᲔᲓᲘᲡᲬᲘᲡᲓᲔᲑᲘᲡ

ᲕᲐᲠᲯᲘ – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ᲯᲐᲠᲯᲘ** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ᲒᲣᲜᲯᲔᲑᲘ** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡᲘ** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ᲠᲝᲛᲘ** – ცხოვრება გეცვლებათ, გახარებული ხართ. **ᲫᲐᲜᲒᲚᲘ** – თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემები არ გაქვთ. **ᲡᲐᲚᲘᲠᲘ** – ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაეყრდენით. **ᲠᲘᲒᲘᲜᲯᲘ** – მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ᲨᲕᲘᲚᲬᲘᲠᲘᲡᲘ** – გადაწყვეტილება უნდა შეცვალოთ, ასე აჯობებს. **ᲝᲡᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ** – გადაღლილი ხართ, დასვენება გჭირდებათ. **ᲨᲘᲠᲘᲜᲘ** – მონყენილი ხართ, მაგრამ მალე მოხვალთ ხასიათზე. **ᲘᲕᲚᲘᲡᲘ** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ.

ᲣᲑᲪᲔᲓᲢ.Ს .ᲢᲚᲧᲑᲢᲔ ᲚᲥᲪᲘ=

ᲰᲔᲯᲘᲡᲓᲮᲔᲠᲘᲑ Ფ

შვეულად: 1. შეუსაბამობა, უაზრობა, სისულელე; 2. ამერიკული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჟურნალი; 3. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 4. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 5. უზბეკეთის დედაქალაქი; 7. ღვინის მწარმოებელი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 11. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 13. ინგლისელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 15. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 16. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ძლიერფეთქებადი ჭურვი; 19. პოეტური ქმნილება.

თარაზულად: 6. სახელმწიფო ეკრომაში; 8. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 9. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 10. რაიმეს შეცვლა, გარდქმნა; 12. ფრანგი მწერალი; 14. ნახატი ზღვის ხედით; 17. მიწაში ბინადარი შხამიანი ობობა; 20. კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 21. საჭადრაკო ამოცანა; 22. სხვადასხვა კლასის სამგზავრო ვაგონებისგან შედგენილი მატარებელი; 23. ჩვილი ბავშვის საფენი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



6 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲔᲣᲑᲠᲤᲙᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲗ

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ — 100 ᲬᲘ�გᲜᲘ“ 25-ე ტომი

ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐᲒᲚᲘᲡ



3I)) ᲝᲑᲣᲧᲘᲑ4 ᲘᲢᲒᲑᲡ
ᲑᲗ ᲤᲒᲘᲗᲑᲗᲧᲡᲗ ,ᲑᲧᲣᲰᲗᲧᲑᲢ,ᲑᲠ
ᲰᲧᲗᲢᲡᲗᲨ ᲒᲑᲒ ᲰᲒᲗᲧᲑ ᲒᲗᲨᲧᲒᲢᲡ
ᲗᲡᲧᲧᲧᲑᲧ ᲑᲧᲑᲜᲑᲰᲗᲘᲑᲠ
ᲗᲢᲜᲧᲑᲢᲰᲢ,ᲗᲧᲗ ᲒᲗ ᲰᲣᲢᲜᲣᲰᲗᲘᲑ8

ᲣᲗᲰᲢᲡᲑ ᲜᲗ ᲝᲑᲣᲧᲑ ᲢᲰᲡᲗᲜ * ᲚᲗᲰᲑ